ვკვირდეთ ბევრნი, „ვერნენ" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№72 (1098) 29 – 30 ივნისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ყურადღება!

2015 წლის 1-ლი ივლისიდან ანალოგური საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობა ქვეყნის რეგიონების მიხედვით ეტაპობრივად გაითიშება.

ციფრული მაუწყებლობის საგენტო

1-ელ ივლისს, დილის 10 საათიდან თბილისში, საგარეჯოში, კოჯორში, მარნეულსა და რუსთავში, ქართული ტელეპროგრამების ღია ეთერით მიღება მხოლოდ ციფრულ ფორმატში იქნება შესაძლებელი. ამასთან, გაითიშება გარდაბნის, მარნეულის, საგარეჯოს, მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები. სხვა რეგიონების გათიშვის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტელეეთერის, ცხელი ხაზის (1480), პრესისა და ვებ გვერდის www.digitaltv.ge-ს საშუალებით.

„მე და ბატონ ბიძინას ძალიან მძიმე საუბარი გვქონდა!"

როგორ გახდა ივანიშვილის „სპიჩრაიტერი" თავისუფალი დემოკრატი ნინო გოგუაძე

გვ. 4-5

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

„ეს იყო სასტიკი ბრძოლა სიცოცხლის რისკის ფასად და ყოველთვის მადლობელი ვიქნები ბატონი ბიძინა ივანიშვილის, რომ მომცა საშუალება, ამ ბრძოლაში საინტერესო როლი შემესრულებინა!"

„ჩემს „სპიჩებში" უფასო ფული არ ყოფილა!.. ყველა მესიჯს ჯერ ჩვენ ვაყალიბებდით, მერე კი, რა თქმა უნდა, ბატონი ბიძინაც მონაწილეობდა... ბატონ ბიძინასთან საინტერესო ურთიერთობა ჩამოყალიბდა. საერთოდ, მასთან საუბარი ნამდვილად საინტერესოა... როცა ბატონი ბიძინას ორბიტაში ხვდები, რაღაცნაირად იმ მიმართულებით მიგექაჩება, რომ მთლიანი სურათი კარგად ვერ დაინახო..."

„სასამართლოში ვუჩივლებ!"

შემწვარი ქათამი, ხაჭაპური, ღობიანი, ყავა და „პეჩენია" — ბალდათის გამგებელი ყოველდღე ბიუჯეტის ხარჯზე ვახშმობს?!

გვ. 6

ირაკლი გეგეშიძის ექსკლუზიური პასუხები „მედიატორის" ბრალდებებზე

„ჩვენს მოსახლეობას ფიზიკური საფრთხე ემუქრება!"

ხალიფატმა საქართველო „ისლამური სახელმწიფოს" საზღვრებში მოაქცია — „კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია" გვაფრთხილებს

გვ. 3

უპატრონო ტუსალები

გვ. 8

ეპიზოდები

როგორ გაუმწარეს სიცოცხლე „კაიბიჭებმა" თაღლითობისთვის გასამართლებული თამაზ თ-ს

სახელმწიფო სერვისებით სარგებლობა უკვე სოფლიდან გაუსვლელად, LIBERTY BANK-ს მობილურ ფილიალებშია შესაძლებელი

გვ. 5

ბათუმში ამერიკული ხომალდი შემოვიდა

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ურთიერთობები მყარდება, ასევე მყარდება ურთიერთობები ნატო-სა და საქართველოს შორის, — ამის შესახებ აშშ-ს ელჩმა საქართველოში, რიჩარდ ნორლანდმა ბათუმის ნავსადგურში აშშ-ს საზღვაო ძალების ხომალდის, „ლაბუნის“ შემოსვლის ოფიციალურ ღონისძიებაზე განაცხადა.

როგორც ელჩმა განმარტა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გამყარება მიმართულია რეგიონში უსაფრთხოების ზრდისკენ. რიჩარდ ნორლანდმა აღნიშნა, რომ ხომალდის ეკიპაჟი მოუთმენლად ელის ბათუმის დათვალიერებას და ელჩმა იმედი გამოთქვა, რომ ბათუმელები ისევე თბილად უმასპინძლებენ ამერიკელ სამხედრორებს, როგორც ეს წინა ხომალდების ეკიპაჟების დახვედრის დროს მოხდა.

ასევე, ოფიციალურ ღონისძიებაზე რიჩარდ ნორლანდმა მწუხარება გამოხატა საქართველოს სანაპირო დაცვის ოფიცრის, თემურ კონცელიძის გარდაცვალების გამო:

„მსურს, გამოვხატო მწუხარება, საქართველოს სანაპირო დაცვის ოფიცრის თემურ კონცელიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვიცით, რომ მისი მეუღლე მძიმე მდგომარეობაშია და თბილისში საავადმყოფოში ექიმები იბრძვიან მისი სიცოცხლის გადასარჩენად. იმედი გვაქვს, მისი მდგომარეობა უკეთესობისკენ იქნება. ჩემთვის სასიამოვნოა და პატივია, რომ დღეს ბათუმის ნავსადგურში ვიმყოფები ამერიკის საზღვაო ძალების ხომალდ „ლაბუნის“ კაპიტან მაკკალანთან ერთად. ეს გახლავთ ერთგულება ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან, რომელიც კვლავ ადასტურებს თავის განწყობას საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და შემაკავებელი შესაძლებლობების ზრდისადმი... მადლობას გამოვხატავთ ბათუმის მერისა და სხვა ხელმძღვანელი პირების მიმართ, რომლებიც მასპინძლობენ აღნიშნულ ღონისძიებებს“.

ამერიკული ხომალდის ბათუმის ნავსადგურში შემოსვლას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეც გამოეხმაურა. როგორც დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, აშშ და საქართველო ერთად აპირებს, გაუმკლავდეს საფრთხეებს, რისი დასტურიცაა ერთობლივი მოქმედებები ავღანეთსა და მსოფლიოს სხვა ცხელ წერტილებში. დავით უსუფაშვილის განმარტებით, დღევანდელი მოვლენა მკაფიო მესიჯია იმისა, რომ საქართველო არ არის მარტო და ქვეყანა არის მსოფლიო თანამეგობრობის წევრი...

„ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდის შემოსვლა ბათუმის ნავსადგურში ეს არის მნიშვნელოვანი მოვლენა, ეს არის ხაზგასმა ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობისა და იმისა, რომ ერთად ვაპირებთ, გავუმკლავდეთ საფრთხეებს, თუ ისინი ექნება ჩვენს ქვეყნებს თუ მსოფლიო მშვიდობას. ამის დასტურია ჩვენი ერთობლივი მოქმედებები ავღანეთსა და მსოფლიოს სხვა ცხელ წერტილებში. ორ ქვეყანას გადაწყვეტილი აქვს, უფრო გააღრმავოს თანამშრომლობა ყველა, მათ შორის სამხედრო სფეროში. დღევანდელი მოვლენა, არის მნიშვნელოვანი საკითხი იმიტომ, რომ საჭიროა რაც შეიძლება მკაფიოდ იყოს ეს მესიჯი გაგზავნილი ყველასთვის, საქართველო არ არის მარტო, საქართველო არის მსოფლიო თანამეგობრობის წევრი ქვეყანა და მსოფლიო თანამეგობრობა მზად არის, საქართველოსთან ერთად, უზრუნველყოს მშვიდობა და სტაბილურობა მთელ მსოფლიოში, მათ შორის ჩვენს რეგიონში“.

პარლამენტის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ამერიკის ელჩს საქართველოში, ხომალდის კაპიტანს და ეკიპაჟის წევრებს იმისთვის, რომ ისინი საქართველოს სტუმრები არიან. დავით უსუფაშვილმა ასევე, მადლობა გადაუხადა აჭარის მთავრობას, რომელიც ამერიკელ სტუმრებს მასპინძლობს.

ბათუმის ნავსადგურში ამერიკის საზღვაო ძალების ხომალდი „ლაბუნი“ 28 ივნისს შემოვიდა. ვიზიტის ფარგლებში ბათუმის ნავსადგურში მყოფ ხომალდზე დაგეგმილია ერთობლივი წვრთნები. „ლაბუნი“ გამანადგურებელი, მართვადი რაკეტებით აღჭურვილი ნაღმოსანია, რომელიც ექსპლოატაციაში 1988 წელს შევიდა. ხომალდი მონაწილეობდა ერაყის ომში და ნატო-ს ეგიდით ჩატარებულ სამხედრო ოპერაციებში.

„ინტერპრესნიუსი“

ილია მეორე: „ხშირად ადამიანი თავისუფლებას ბოროტად იყენებს!“

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ადამიანის თავისუფლების შესახებ ისაუბრა:

„ხშირი შემთხვევაა, როდესაც ადამიანი თავისუფლებას ბოროტად იყენებს და ამით სარგებლობს. ეს დამღუპველია ადამიანის სულისთვის. სრული თავისუფლება რომ მიეცეს ადამიანს, მაშინ აღარ იქნებოდა საჭირო არც ათი მცნება, არც კანონები, არც წეს-ჩვეულებები. აი ამიტომ, ჩვენ უნდა გავარჩიოთ, რა არის სასარგებლო ჩვენთვის“.

მისივე თქმით, ადამიანი ყოველდღე იმყოფება გამოცდის წინაშე — მან უნდა აირჩიოს კეთილი ან ბოროტი. **„ამიტომ ღმერთმა მოგვცა თავისუფალი ნება, რომ ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს სულიერ ამაღლებაში, გარდა ღვთისა, ადამიანმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა. რა არის თავისუფლება? ეს არის ის მდგომარეობა, როცა ადამიანი ირჩევს კეთილს და უარყოფს ბოროტს. თავისუფლება არის ყოველდღიური გამოცდა ადამიანის, ამიტომ ადამიანს უნდა ჰქონდეს სასულიერო ხედვა, რომ დაინახოს, სად არის თეთრი და სად შავი, სად არის კეთილი და სად ბოროტი. ხშირია შემთხვევა როდესაც ადამიანი ვარდება ცოდვაში და ვერ გრძნობს ამას. ამას მიიჩნევს როგორც ბუნებრივ მოვლენას და ადამიანის თვისებად. სინამდვილეში, ეს არის ცოდვაში ჩავარდნა. ამას სჭირდება სინანული, აღსარება. წმინდა მამები ამბობენ, რომ აღსარება, რომ არ ყოფილიყო, ვერც ერთი ადამიანი ვერ ცხონდებოდა“,** — ბრძანა პატრიარქმა.

„ინტერპრესნიუსი“

პოლიციამ ინტერპოლის მიერ ძებნილი კამერუნის მოქალაქე დააკავა

საქართველოში ინტერპოლის ცენტრალური ეროვნული ბიუროს და შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ქალაქ თბილისში, კამერუნის მოქალაქე, 1989 წელს დაბადებული ანტიერო ვან დონალდ ედიბე მოკი დააკავეს. აღნიშნული პირი იტალიის ინტერპოლის მიერ 09.05.2015 წლიდან წითელი ცირკულარით საერთაშორისო დონეზე იძებნებოდა.

ანტიერო ვან დონალდ ედიბე მოკის ბრალად ედება იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 416-ე, 648-ე, 484-ე, 615-ე და 640 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც არაავტორიზებული წვდომის მეშვეობით მონაცემთა დამუშავების სისტემაში შეღწევას, დანაშაულებრივ შეთქმულებას და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ თაღლითობას გულისხმობს.

ამჟამად აღნიშნული პიროვნება დაკავებულია და მის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

„ვერსიანიუსი“

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ბაქოს პირველ ევროპულ თამაშებზე გუნდურ შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გავიდა. ქართველი ძიუდოისტები ფრანგ სპორტსემენებთან ანგარიშით 4:1 დამარცხდნენ. ფინალურ დაპირისპირებაში ერთადერთი გამარჯვება ვარლამ ლიპარტელიანმა მოიპოვა, ხოლო ამირან პაპინაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი, ავთანდილ ჭრიკიშვილი და ადამ ოქრუაშვილი საკუთარ მეტოქეებთან დამარცხდნენ.

საქართველოს ნაკრებმა ფინალამდე ჩეხეთი და უნგრეთი დაამარცხა.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ დაცვის პოლიციის ინსპექტორი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის და ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა შსს-ს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის სამმართველოს I განყოფილების — სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ობიექტების დაცვის ინსპექტორი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ბერდია ხ. ქრთამის აღების ფაქტზე დააკავა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბერდია ხ-მ თავისივე თანამშრომელს, დაცვის უმცროს ინსპექტორს, პოლიციის რიგით ლერი ა-ს, ოფიცრის პირველადი სპეციალური წოდების მინიჭებასა და სამსახურებრივ დაწინაურებაში დახმარების სანაცვლოდ, ქრთამის სახით მოსთხოვა 600 აშშ დოლარი, ხოლო გამოართვა 300 აშშ დოლარი. გამოძიება მოხელის მიერ ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის I ნაწილით, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას შს სამინისტროს გენერალური ინსპექცია აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

ეკა ზღულაძე: „ჩემი ხელფასი შვიდ ათასზე ოდნავ მეტია“

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეკა ზღულაძე აცხადებს, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე მისი ხელფასი შვიდ ათასზე ოდნავ მეტი გრივნაა. ზღულაძემ ამის შესახებ ერთ-ერთ უკრაინულ გამოცემასთან ვრცელ ინტერვიუში განაცხადა.

„მე ხომ სამხედრო წოდება და ნამსახურეობა არ მაქვს. სამწუხაროდ, საქართველოში ნამსახურეობა არ მეთვლება“, — განუცხადა ზღულაძემ გამოცემას.

მისივე თქმით, კიევში ბინას ქირაობს, თბილისის ბინა კი გაქირავებული აქვს. ზღულაძე ინტერვიუში აცხადებს, რომ არც საქართველოში და არც უკრაინაში პოლიტიკაში ჩართვა არ სურს. მისივე თქმით, თუკი შეიგრძნობს, რომ პროცესში პროცესისთვის ჩართეს, მისთვის ეს საინტერესო აღარ იქნება.

„ინტერპრესნიუსი“

სამართალდამცავებმა ყაჩაღობის ფაქტი გახსნეს

შსს-ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული დავით ტ. ყაჩაღობის ბრალდებით ოზურგეთში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული, თანამზრახველთან ერთად, 14 აპრილს ოზურგეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე „რომპეტროლის“ ბენზინგასამართ სადგურში ნიღბითა და პისტოლეტით შეიარაღებული შეიჭრა. მათ ბენზინგასამართი სადგურის ოპერატორს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით 300 ლარი გასტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სამართალდამცველებმა ნიღბები და ცეცხლსასროლი იარაღი შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

„ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ!“

ᲜᲘᲜᲝ ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ
599-95-33-16

ხალიფატმა საქართველო „ისლამური სახელმწიფოს“ საზღვრებში მოაქცია — „კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია“ გვაფრთხილებს

ისლამური ხალიფატი, სირიის შემდეგ, ჩრდილოკავკასიას ღიად პირველად დაემუქრა — ე.წ. ისლამურმა სახელმწიფომ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე „კავკასიის ვილაიეთის“ დაარსება დაანონსა. „ვილაიეთის“ მმართველი „იმარატის“ დაღესტნის ფრთის მეთაური მუჰამად ალ კადარი იქნება. აღსანიშნავია, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი „მაღალჩინოსანი“ პანკისელი ომარ ალ შიშანია, რომელსაც მუქარისშემცველი ვიდეო არაერთხელ გაუვრცელებია. შემთხვევითი, ალბათ, არც ისაა, რომ ამას წინათ, თბილისის ცენტრალურ უბანში, ლაფანყურის სპეცოპერაციის ერთ-ერთი ცოცხალი მოწმის, ზელიმხან ხანგოშვილის მოკვლა სცადეს, რომელიც ისლამურ ხალიფატს უპირისპირდება. ხანგოშვილის მთავარ მოწინააღმდეგედ ლაფანყურის სპეცოპერაციის მონაწილე ახმედ ჩატაევი ითვლება, რომელიც დღეს ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთ რადიკალურ დაჯგუფებას ხელმძღვანელობს. რას ნიშნავს ხალიფატის მიერ გამოქვეყნებული რუკა, სადაც საქართველო, საბერძნეთი და სხვა ევროპული ქვეყნები ე.წ. ისლამური სახელმწიფოს საზღვრებშია მოქცეულნი, რას იზამს რუსეთი ჩრდილოკავკასიაში, რა როლი ექნება საქართველოს ახალ რეგიონულ გადანაწილებაში და რატომ დუმს ხელისუფლება კარსმომადგარ საფრთხეზე? — „ვერსიის“ რესპონდენტი, „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ პრეზიდენტი ᲖᲐᲐᲚ ᲙᲐᲡᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ მოვლენათა განვითარების ტრაგიკულ სცენარზე ლაპარაკობს.

— თავის დროზე, როცა ხალიფატის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ისრაელის შემდეგ მისი მომდევნო სამიზნე ჩრდილოეთ კავკასია იქნებოდა, ჩვენმა ორგანიზაციამ განგაშიც ატეხა. სამწუხაროდ, საქართველოში სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო და პრეზიდენტთან არსებული უშიშროების საბჭო ფორმალური ორგანიზაციებია — ჩვენს განცხადებებსა და ინიციატივებზე პასუხი აქამდე არ მოგვისმენია, ვერც ქმედით ნაბიჯებს ვხედავთ, დღემდე ვერც საქართველოს ეროვნული უშიშროების კონფენცია მოვისმინეთ და ვერც — ქართული ჯარის მშენებლობის გეგმა თუ თავდაცვის ეროვნული დოქტრინა. არ ვიცით, რეალურად, თავდაცვის რა სისტემა გვაქვს, რეგიონული უსაფრთხოების თვალსაზრისით განვითარებას როგორ ვაპირებთ, ჩვენი ქვეყანა რა ძირითადი საფრთხეების წინაშე დგას და მათი გააქტიურების შემთხვევაში, რა გეგმა გვაქვს, ვინაა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, ვის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ და ა.შ. ყველაფერი ეს აბსოლუტურად გაურკვეველია.

— ჩვენს მეზობლად, „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ „კავკასიურ ვილაიეთის“ დაფუძნება ძირითადი საფრთხე არაა? რა გადალაგება მოხდება რეგიონში და და ჩვენი და რუსეთის ურთიერთობაში რა შეიცვლება?

— ისლამური სახელმწიფოს საფრთხე საქართველოს საზღვრებთან კი არა, უკვე საქართველოს საზღვრებშია. ეჭვი მეპარება, ისლამური ხალიფატის ხელმძღვანელობა ჩვენსკენ 40 000-იან ლაშქარს გამოუძღვეს, მაგრამ როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ასევე კავკასიაში დასაყრდენი უკვე ჰყავს და არავინ იცის, ამ ხალხის რა მიმართულებასა და დავალებას მისცემს. თუ ისლამური ხალიფატი რუსეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს დაიწყებს, საქართველო ძალიან რთული არჩევანის წინაშე დადგება — ან რუსს უნდა დავეხმაროთ, ან ხალიფატს.

— შუალედური პოზიცია არ არსებობს?

— რა თქმა უნდა, არა, რადგან ამ ბრძოლაში ავტომატურად ჩართული აღმოვჩნდებით. ისლამური ხალიფატი თავისი იდეოლოგიითა და ქმედებებით მიუღებელია, რუსეთი კი საგარეო პოლიტიკით და მასთან, პრაქტიკულად, საომარ მდგომარეობაში ვართ.

— ამ ფონს, ალბათ, ისიც ართულებს, რომ დღემდე კეთილმეზობლური დამოკიდებულება გვაქვს ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან, თუნდაც ჩეჩნებთან. აშშ-ს დეპარტამენტის ანგარიშებში, როგორც ჩრდილოკავკასიელი ტერორისტების „მეგობარი“ ქვეყანა, შესაძლოა, ამის გამოც ვხვდებით ხოლმე, არა?

— ჩრდილოკავკასიაში ძალიან ბევრი კეთილისმსურველი გვყავს, რომლებიც რადიკალური ისლამის წარმომადგენლებთან ფიზიკურად არიან დაპირისპირებულნი. ჩვენი ორგანიზაციის სახელით გეუბნებით: ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ, მაგრამ სურვილი არ მაქვს, ეს ხელისუფლებას ვასწავლო. რაც უნდათ, ის აკეთონ! თავი ძალიან ჭკვიანი ჰგონიათ, საშინლად რეაგირებენ კრიტიკაზე, მტერ-მოყვარეს ვერ არჩევენ, ამიტომ ამ ვირტუალური სამყაროს გენერლებმა, კეთილი ინებონ და, დაალაგონ ურთიერთობები — ჩვენ ამას აღარ ვასწავლით, მით უმეტეს, საჯაროდ. ამას, წლების განმავლობაში, სრულიად უანგაროდ ვაკეთებდით. ეს ის შემთხვევაა, როცა არც თვითონ იციან, რა უნდა აკეთონ და არც სხვისი ესმით.

— ხალიფატის სასარგებლოდ, როგორც ამბობენ, ძალიან ბევრი ქისტი იბრძვის. ბატონო ზაალ, ამის მიზეზი რა არის?

— ამ მიმდინარეობის იდეოლოგია მსხვერპლშეწირვა და თვითმკვლელობაა. ასეთები შეიძლება, საქართველოშიც არიან, მათ შორის, — როგორც მებრძოლი მოჯაჰედები, ისე ე.წ. გადამბირებელები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით იეჰოვას მოწმეებს ჰგვანან.

— ისე, ლაფანყურის ოპერაციიდან, სადაც 11 ადამიანი მოკლეს და რამდენიმე დააპატიმრს, 3 წელი გავიდა, გამოძიებას კი დღემდე არ უთქვამს, რეალურად რა მოხდა ან დღეს რა ხდება, როცა თბილისში ამ სპეცოპერაციის ცოცხალი მოწმე, ზელიმხან ხანგოშვილი დაჭრეს. ამ ორ მოვლენას შორის რა კავშირს ხედავთ, ვის და რატომ უნდა სურდეს ხანგოშვილის მოშორება?

— ამ თემაზე მკითხაობა ძალიან ძნელია. სპეცსამსახურებისა და გამოძიების საქმეებში ჩარევას ვერიდები, თუმცა არაა გამორიცხული, ხანგოშვილის მოცილება ისე უნდოდათ, როგორც ლაფანყურის ოპერაციის მოწმისა. ასევე, მისი მოკვლა ხელს შეიძლება, რადიკალური ისლამის წარმომადგენლებს აძლევდა, რადგან მათი მოწინააღმდეგეა. ამ კითხვებს პასუხები სამართალდმაცავებმა უნდა გასცენ. დიდი ხანია ვამბობ, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციის საქმეში არის გვარები, რომელთა გასაჯაროებაც არ შეიძლება. დამნაშავეთა გვარები კი, პირიქით, უნდა გასაჯაროვდეს და ამ სისხლიანი სპეცოპერაციის დამგეგმავნი დაისაჯონ. ვფიქრობ, ამ საქმის გამოძიებას ორი მიზეზით აჯანჯლებენ: ან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან ურთიერთობის გართულებას ერიდებიან, ან ამ ხელისუფლებამ ბევრი ის ადამიანი, ვინც სპეცსამსახურებში მუშაობდა და ლაფანყურის ოპერაციაშიც იყო გარეული, თანამდებობაზე დატოვა. პირდაპირ გეტყვით: ლაფანყურის საქმე გახსნილია, მაგრამ არ ასაჯაროებენ, რადგან არავის დასჯა უნდათ!

— ეს რომელი უცხო ქვეყნის ინტერესებში შედის?

— ყოველ შემთხვევაში, მაშინ რუსეთისა და თურქეთის სპეცსამსახურების ინტერესები იკვეთებოდა. სპეცოპერაციიდან რამდენიმე თვეში, თურქეთის შსს-მ ოფიციალური ვიდეოები გამოაქვეყნა, რომელთა მიხედვითაც, რუსეთის სპეცსამსახურის წარმომადგენლები თურქეთში ამ სპეცოპარაციის მონაწილეთა მოკავშირეებს ესაუბრებოდნენ. ამით თურქეთმა ისლამური სამყაროსა და კავკასიელების წინაშე თავი იმართლა, არაფერ შუაში ვარო.

— დღეს თურქეთი იმ ქვეყნების სიაშია, ვისაც ხალიფატი პირდაპირ ემუქრება. ასევე გამოქვეყნდა რუკა, სადაც საქართველო, საბერძნეთი, გერმანია და სხვა ევროპული ქვეყნები ისლამური სახელმწიფოს ნაწილადაა მოაზრებული. ეს რას ნიშნავს?

— ეს პირდაპირ ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობას, აბსოლუტურად უდანაშაულო და დაუცველ ადამიანებს ფიზიკური საფრთხე ემუქრებათ. ჩემი აზრით, ყველაფერი ეს ჩრდილოკავკასიაში რუსეთის ფედერალური ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში გადაიზრდება. ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ომი რასაც ნიშნავს, 1994-99 წლებში უკვე ვნახეთ, ეს ახალი ომი კი წინასგან განსხვავებული და გაცილებით დაუნდობელი იქნება. ვინმე არც მეგობრული საქართველოს ინტერესებს გაითვალისწინებს და არც — ეთნიკური კავკასიელების. დიახ, ეს პირდაპირ შეეხება საქართველოს — ბოლოსდაბოლოს, ჩვენთან 500 000-ზე მეტი მუსლიმი ცხოვრობს, თუნდაც ქვემო ქართლსა და აჭარაში და, რა თქმა უნდა, პირდაპირი საფრთხე გვემუქრება. რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მძიმე შეიარაღებას თუ გამოიყენებს, რომელიც შორ მანძილზე მოქმედებს, საერთოდ არ ვიცი, ასეთ ვითარებაში მზად რისთვის ვიქნებით. ახლა ორცეცხლშუა ვართ და სწორედ დროა, მოკავშირეები ქვეყნის გარეთ ვეძებოთ — ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი იქნება ეს თუ სტრატეგიული პარტნიორი აშშ. ცალკე აღებული, ამ პრობლემას ვერცერთი სახელმწიფო ვერ მოაგვარებს. ეს ღია ომი არაა, სადაც მტერსა და მის პოზიციებს ღიად ხედავ — ეს პარტიზანული ომი და თვითშეწირვაა, ამიტომ სად, რა და როდის აფეთქდება, არავინ იცის. ჩვენი ორგანიზაცია სასოწარკვეთილია, რადგან 2009 წლიდან ამ კითხვებს ვსვამთ და პასუხებს ვერ ვიღებთ. ამ კითხვების დასმის ჟამი კიდევ ერთხელ მოვიდა და ახლა უნდა გაცხადდეს, ვინ კაცია და ვინ — არაკაცი, ვინ პატრიოტი, თაღლითი, მამაძაღლი, „გნიდა“ და ლაჩარია.

— ყველაფერ ამის ფონზე, საქართველოს მეორე სირიად ქცევა ემუქრება?

— საქართველოს, ერთი მხრივ, გარესაფრთხეებისა და მეორე მხრივ, შიდაპოლიტიკური დაპირისპირების მიზეზით, სირიიზაცია ემუქრება. ქვეყანა იდეოლოგიურად უკვე გახლეჩილია — ვიღაცას ევროკავშირის წევრობა სურს, ვიღაცას — ევრაზიული სავაჭრო კავშირისა. ეს შეიძლება, შიდადაპირისპირების საგანი გახდეს და სირიაშიც ყველაფერი ასე დაიწყო: ვიღაც რუსეთთან კარგი ურთიერთობის მომხრე იყო, ვიღაც წინააღმდეგი. მერე, ოპოზიციამ და ხელისუფლებამ ერთმანეთთან მიტინგებზე ჩხუბი დაიწყო, ორივემ თოფი ისროლა და ოპოზიციას რადიკალური ისლამი დაეხმარა.

— რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ხალიფატის კავკასიური „ფილიალი“ და ისლამური სახელმწიფო, რომელიც ჩვენგან 500 კილომეტრშიც არაა, გაერთიანებას მოახერხებენ?

— ეს, რა თქმა უნდა, რეალური სცენარია, უბრალოდ, დროის წინასწარმეტყველებაა შეუძლებელი. მთელი ამ მოვლენების საბოლოო მიზანიც ეგაა — ამ ორი წარმონაქმნის გაერთიანება.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

ᲨᲡᲡ-Ს ᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐ ᲚᲔᲘᲙᲔᲛᲘᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲒᲐᲘᲦᲔᲡ

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის პერსონალმა და დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ აქციის – „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ – ფარგლებში, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი გაიღო.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ აქციაში ორი წელია მონაწილეობს და სამინისტროს თანამშრომლები მ. იაშვილის სახელობის კლინიკის „სისხლის ბანკის“ დახმარებით, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლს რეგულარულად აბარებენ.

სისხლის ჩაბარების აქცია როგორც თბილისში, ასევე საქართველოს ყველა რეგიონში პერმანენტულად იმართება და მასში სამინისტროს ყველა დანაყოფის თანამშრომელი მონაწილეობს. აღნიშნულ აქციაში მონაწილეობის მიზანია ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირება.

„ვერსიანიუსი“

„მე და ბატონ ბიძინას ძალიან მძიმე საუბარი გვქონდა!“

როგორ გახდა ივანიშვილის „სპიჩრაიტერი“ თავისუფალი დემოკრატი ნინო გოგუაძე



ვანო პავლიაშვილი

...აუდიენციაზე ზუსტად დათქმულ დროს — 2 საათზე მივდივარ. მგონია, რომ ლოდინი მომიწევს, მაგრამ ვცდები — ნინო გოგუაძე უკვე ადგილზეა... ცოტა ხანს თავისუფალი დემოკრატების ოფისის აივანზე ისეთ თემებზე ვსაუბრობთ, როგორიც, მაგალითად, მლიქვნელობაა... მერე, საკონფერენციო დარბაზში ჩავდივართ... ნინო გოგუაძეს აქამდე არ შევხვედრივარ, მაგრამ ტელევიზიით ხშირად ვუსმენ. ვთვლი, რომ საინტერესო მოსაუბრეა... ჰოდა, წესით, არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ რამე „მსუყე“ საკითხით უნდა დავიწყო, მით უმეტეს, ახლა, როცა ალასანიას გუნდისთვის „კაბელების საქმე“ ყველაზე აქტუალურია, მაგრამ... მასპინძელს მოულოდნელად ვეკითხები:

— ქალბატონო ნინო, შეხვედრაზე ჩემზე ადრე მოსულხართ. ეს შემთხვევით მოხდა თუ, საერთოდ, პუნქტუალური ხართ?

— პუნქტუალური ვარ, დაგვიანება არ მიყვარს და ვცდილობ, ორი-სამი წუთით ადრე მივიდე, რადგან გაურკვეველი ამბები არ შემემთხვას და შეხვედრაზე არ დავაგვიანო.

— მხოლოდ ბუნებრივად კი არა, პოლიტიკურადაც ძალიან დაცხა. მაღალი ტემპერატურა ხომ არ გაწუხებთ?

— სიცხე მიყვარს, მაგრამ საქართველოში, პირდაპირი და პოლიტიკური მნიშვნელობითაც, ჟანგბადი არაა, ამიტომ უჟანგბადობა ძალიან მაწუხებს.

— ესე იგი, პოლიტიკაში თავს ცუდად გრძნობთ?

— არა — იმას ვაკეთებ, რისი გაკეთებაც მინდა. პოლიტიკა ჩემთვის მოქალაქეობრივი ცხოვრების წესია, მაგრამ იმ გარემოში, რომელიც პოლიტიკისაგან შორსაა და უფრო ჭორაობა, ადამიანების დისკრედიტაცია, უპატივცემლობის დანერგვაა, თავს ცუდად ვგრძნობ.

— ქათინაურად არ ჩამითვალოთ და მასების ყურადღების ცენტრში უცებ აღმოჩნდით. ამაში გარკვეული როლი, ალბათ, თქვენმა ხმის ტემბრმაც შეასრულა. როგორც ვიცი, პედაგოგი ხართ... პოლიტიკამდე როგორ მოხვედით?

— ქიმიკოსი ვარ და არასოდეს მიფიქრია, რომ პოლიტიკაში აღმოვჩნდებოდი... ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თავისუფლებაა და ნებისმიერი ჩარჩო, რომელიც ამ თავისუფლებას მიზღუდავს, მაწუხებს!

— სხვათა შორის, ქიმიაც გარკვეულწილად ჩარჩოა — ქიმიური ფორმულები თავისუფლებას არ გიზღუდავდათ?

— არა, რადგან ფორმულებიც სხვა სამყაროა, სადაც შეგიძლია, თავისუფლად იაზროვნო, ოღონდ ფორმულების ენაზე, თუმცა, როცა ვხვდები, რომ რაღაც ამოვწურე, სხვა საქმით ვკავდები ხოლმე. ქიმია მოსწავლეობისას ძალიან მიყვარდა — დედა და დეიდაც ქიმიკოსები იყვნენ და ქიმიის სიყვარული, ალბათ, მემკვიდრეობით მერგო, თუმცა უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, იდეალისტურ-რომანტიკული გარემოდან გამოვედი და ქიმია უკვე ნაკლებად მიყვარდა... მუშაობა ელექტრო ქიმიის ინსტიტუტში დავიწყე, მერე, მოსკოვში, ასპირანტურა გავიარე...

— უი, უი, არ მეგონა, რუსული ბეგრაუნდი თუ გქონდათ...

— დიახ, ქიმიური რუსული ბეგრაუნდი მაქვს!

— არ ნანობთ?

— (იცინის) მგონი, ხუმრობთ, ხომ?

— ნაწილობრივ...

— პასუხი ნათელია: არ ვნანობ, რადგან ეს ჩემთვის ძალიან საინტერესო გამოცდილება იყო... თბილისში რომ დავბრუნდი, გავთხოვდი და 21 წლისას უკვე შვილი მყავდა... ამასობაში, საბჭოთა კავშირის ნგრევა დაიწყო... სხვათა შორის, ისეთი ოჯახში გავიზარდე, რომ ბავშვობიდან ვიცოდი, საბჭოთა კავშირი ძალიან ცუდია. 37 წელი და სტალინიც საშინელება იყო. ჩემთვის და ჩემი წრისთვის კომპარტიის წევრობა სირცხვილად ითვლებოდა! მათთან, ვინც კომპარტიას კარიერისთვის იყენებდნენ და ამ სიყალბეში მონაწილეობდნენ, სტუდენტობისას არ ვმეგობრობდი!

— ქალბატონო ნინო, თქვენს პოლიტიკურ ბიოგრაფიაში იყო პერიოდი, როცა წესით, ჩაკითხვებს უნდა მიჩვეოდით, ამიტომ, ჩაგეკითხებით: ხომ არ დადგება დრო, როცა იტყვით, კოალიციაში გატარებული წლების მრცხვენიაო, ან იმას ხომ არ ინანებთ, რომ ბიძინა ივანიშვილს ე.წ. სპიჩებს უწერდით?

— არა! მოდით, ნაცმორაობასთან ბრძოლისა და ხელისუფლებში მოსვლის პერიოდები დავყოთ. ნაცმოძრაობასთან ბრძოლა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია — ის სასტიკი ხელისუფლება იყო, რომელმაც ბევრი დანაშაული დემოკრატიისა და ლიბერალური ღირებულებების სახელით ჩაიდინა, რითიც დემოკრატია და ევროპული გზა შეარყია. ნაციონალებმა ჩემი ღირებულებების დისკრედიტაცია მოახდინეს! ეს იყო სასტიკი ბრძოლა სიცოცხლის რისკის ფასად და ყოველთვის მადლობელი ვიქნები ბატონი ბიძინა ივანიშვილის, რომ მომცა საშუალება, ამ ბრძოლაში საინტერესო როლი შემესრულებინა!

— ივანიშვილის „სიპჩრაიტერი“ როგორ გახდით?

— თავად ბატონმა ბიძინამ შემომთავაზა...

— მაშასადამე, უფასო ფული თქვენი იდეაა?

— ჩემს „სპიჩებში“ უფასო ფული არ ყოფილა! „სპიჩებს“ მე და მაია მენაღარიშვილი ვწერდით, რომელიც ახლა პრემიერის აპარატში ისევ „სპიჩრაიტერად“ მუშაობს.

— „სპიჩისთვის“ მესიჯებს ივანიშვილი გაძლევდათ?

— ყველა მესიჯს ჯერ ჩვენ ვაყალიბებდით, მერე კი, რა თქმა უნდა, ბატონი ბიძინაც მონაწილეობდა. ამ „სპიჩებს“ ერთი წამითაც არ ვნანობ და დღესაც, ხელისუფლებას რომ ვაკრიტიკებ, სწორედ ამ „სპიჩებიდან“ გამოვდივარ! ჩვენს „სპიჩებში“ სამი ძირითადი დაპირება იყო — უფასო ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობისა და განათლების პროგრამები.

სხვათა შორის, „სპიჩების“ წერა ჩემთვისაც მოულოდნელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალ დემოკრატებში „სპიჩების“, იდეოლოგიური დოკუმენტებისა და მესიჯების მომზადება მევალებოდა. ბატონ ბიძინასთან მწერლები და ცნობილი ლიტერატორები დამხვდნენ...

— კონკრეტულად?

— რატი ამაღლობელი, ბასა ჯანიკაშვილი...

— დათო მაღრაძე?

— დათო ამოდიოდა, მაგრამ ყოველდღიურ მუშაობაში ის კი არა, დათო ზურაბიშვილი მონაწილეობდა...

— დათო ზურაბიშვილისთვის ეს ჩვეული ამპლუაა — თავის დროზე, შევარდნაძის პროგრამებსაც წერდა!

— დათო ძალიან კარგად წერს... ჩვენი ჯგუფი ჩემგან, მაია მენაღარიშვილისა და დათო ზურაბიშვილისგან შედგებოდა. მნიშვნელოვან პიართათბირებს ვესწრებოდით...

— პიარს ხომ თინა ხიდაშელი ხელმძღვანელობდა?

— თავიდან კი, მერე — ხუხაშვილი, უფრო მერე — მაია ფანჯიკიძე.

— თავდაპირველად, ამ ჯგუფის ხელმძღვანელობა ივანიშვილმა მართლა თეა წულუკიანს დაავალა?

— თეა ჩვენგან ბატონ ბიძინასთან სულ პირველი წავიდა — დაგვემშვიდობა.

— პარტიაში, როგორც ახლა ირკვევა, მაინც მარტო იყო და უნდა წასულიყო, აბა, რა უნდა ექნა?!

— მის სულიერ მდგომარეობაზე ვერ ვიმსჯელებ!

— ოდესმე თქვენც ხომ არ იტყვით, თავისუფალ დემოკრატებში მარტოსული ვიყავიო?

— არა, ესენი ჩემი ძალიან ახლო მეგობრები არიან და ეს ბედნიერებაა... თეა, მერე უკან დაბრუნდა, მოგვიანებით კი, კოალიციაში იურისტების ჯგუფს ხელმძღვანელობდა.

— ისე, ერთხანობა ითქვა, განათლების მინისტრად გნიშნავდნენ...

— არ მინდოდა: ისეთ პასუხისმგებლობას, რომელიც მიმაჩნია, რომ სხვამ შეიძლება, უკეთ შეასრულოს, არასოდეს ავიღებ! მინდა, ის საქმე ვაკეთო, სადაც ჩემს თავისუფლებას არავინ შეზღუდავს! საბედნიეროდ, ჩემს პარტიაში პიროვნული თავისუფლება არ მეზღუდება!

მოკლედ, ბატონ ბიძინასთან საინტერესო ურთიერთობა ჩამოყალიბდა. საერთოდ, მასთან საუბარი ნამდვილად საინტერესოა. ზოგჯერ შეუსაბამო ფრაზებით ლაპარაკობს, მაგრამ ძალიან ძლიერი რაციონალური აზროვნება აქვს და ზუსტად იცის, რა კარგია და რა ცუდი, თუმცა ამას ცხოვრებაში როგორ იყენებს, ვერაფერს გეტყვით... იმაში, რომ ქვეყანა ისე არ განვითარდა, როგორც გვინდოდა, დამნაშავე მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი არაა.

— თავს დემოკრატებიც იდანაშაულებთ?

— ჩვენც ჩვენი წილი პასუხისმგებლობა გვაქვს!.. შეიძლებოდა, რომ ადამიანები თანამდებობებს კი არ გაფრთხილებოდნენ და იმის სურვილი კი არ ჰქონოდათ, ბატონი ბიძინას ყურადღება და კეთილგანწყობა მოეპოვებინათ, არამედ, მათზე კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულებები შეესრულებინათ და პრინციპები არ შეეცვალათ, მაგრამ სამწუხაროდ, ის მოხდა, რაც მოხდა. დღეს საქართველო დემოკრატიული, სამართლებრივი ქვეყანა არაა და საბრძოლველი ძალიან ბევრი გვაქვს, თუმცა ამაში, ვიმეორებ, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს კი არა, ყველა იმ ადამიანს ვადანაშაულებ, ვინც ოფიციალურ თანამდებობებს იკავებენ, მოვალეობები აქვთ, მაგრამ მათი შესრულების უფლება — არა!

— მაინც, ვისზე ლაპარაკობთ?

— ყველაზე, ვინც ოფიციალური თანამდებობის პირი და ინსტიტუტის ხელმძღვანელია, მაგრამ პიროვნული უნარები არ აღმოაჩნდათ, ის გააკეთონ, რაც სწორად მიაჩნდათ! როცა ბატონი ბიძინას ორბიტაში ხვდები, რაღაცნაირად იმ მიმართულებით მიგექაჩება, რომ მთლიანი სურათი კარგად ვერ დაინახო...

— მაშასადამე, ივანიშვილი კოალიციისთვის მზეა... თავისუფალი დემოკრატები მზესთან ძალიან ახლოს ხომ არ მიხვედით და ამიტომ დაიწვით?

— მოდი, ასე ვთქვათ: მიუხედავად იმისა, რომ ბატონ ბიძინასთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა და თანამშრომლობა მქონდა, დისტანციას ყოველთვის ვინარჩუნებდი და თავისუფალი აღქმის უნარი რომ არ დამეკარგა, ოლიმპოდან თვითონ წამოვედი! საერთოდ, მახასიათებს: იმ ადამიანების სიახლოვეს ყოფნა, ვინც მაღალ თანამდებობებს იკავებენ, არ მიყვარს, მით უმეტეს, როცა აკვირდები, მათკენ სხვა ადამიანები როგორ იძვრებიან და რიგიც კი დგება, რომ ხელისუფლებაში მოსული მაღალი სტატუსის მქონე პიროვნების გვერდით ადგილი დაიმკვიდრონ. ეს ყველას არაერთხელ გვინახავს... შეიძლება, უცნაურია, მაგრამ პიროვნულად თავს კომფორტულად ოპოზიციაში ვგრძნობდი. ხელისუფლებაში რომ მოვედით და ზურგს ძალაუფლება მიმაგრებდა, თავს ისე კარგად ვეღარ ვგრძნობდი, რადგან ძალაუფლების ძალით ლაპარაკი არ მიყვარს!

— ახლაც ოპოზიციაში ხართ... ქალბატონო ნინო, მაშინ კი, როცა ანტიდისკრიმინაციული კანონი დაიცავით, ხელისუფლებაში იყავით. ამის გამო ივანიშვილმა ხომ არ გაგაკრიტიკათ?

— არა, ბატონი ბიძინაც ანტიდისკრიმინაციულ კანონს ზუსტად ისე უყურებდა, როგორც მე, თუმცა კოალიციაში ძალიან მძიმე შეფასება და შეჩვენება იყო. ეს ჩემთვის ბუნებრივი გამოსვლა გახლდათ და ადამიანებს ვუთხარი, რომ ყველაზე დიდი ღირებულება ერთი ცალკეული ადამიანია, სხვისი ღირსების შელახვა შენი ღირსების შელახვაა და არ შეიძლება, ჯოგის პოზიციიდან იმოქმედო!

— მაპატიეთ, ლგბტ მეგობრები გყავთ?

— სტუდენტობის პერიოდში მყავდა და მათთან ურთიერთობა საინტერესო იყო...

— თვლით, რომ ქალი და კაცი თანასწორია?

— დიახ, ვთვლი, რომ ქალი და კაცი ცხოვრებაში და პოლიტიკაშიც თანასწორი უნდა იყოს! ისე გავიზარდე, არ მეგონა, ჩვენს ქვეყანაში ამ თანასწორობის პრობლემა თუ არსებობდა. საერთოდ, გენდერზე ამდენი ლაპარაკი მაღიზიანებდა, რადგან ყოველთვის ძალიან ბევრი ბიჭი მეგობარი მყავდა და თავი მეორეხარისხოვან როლში არასოდეს მიგრძნია. აქედან გამომდინარე, ის ფუნდამენტური პრობლემა გამომეპარა, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში, თურმე, არსებობს! ამაზე თვალი იმ ძალადობის კასკადმა ამიხილა, რაც ქალების წინააღმდეგ განვითარდა, შეფასებებმა კი მთლად გადამრია, ეს ოჯახური საქმეა, ცოლ-ქმრის ურთიერთობაში არავინ უნდა ჩაეროს და ეს სახელმწიფოს საქმე არააო.

— ქალბატონო ნინო, ყოფილი პრემიერი ირაკლი ალასანიას პირად ცხოვრებას რომ შეეხო, არ გაბრაზდით?

— ძალიან! საერთოდ, ჭორაობა არ მიყვარს და ბავშვობიდან მოყოლებული, არავისზე მიჭორავია — სხვა ადამიანის ცხოვრება ჩემი საქმე არაა. ყველაზე მეტად ჭორი და ადამიანის დისკრედიტაცია მაღიზიანებს! ადამიანი, რომელიც სხვის პირად ცხოვრებას პატივს არ სცემს, არ ვიცი, პატივს რამეს სცემს თუ არა...

მოკლედ, ეს 2013 წლის იანვარში მოხდა და უკვე მაშინ ვიცოდი, რომ ირაკლი ალასანია მიზანში იყო ამოღებული.

— საიდან იცოდით?

— პირადი საუბრების გამომზეურება არ მიყვარს... არ შეიძლება, ეს მეორე და მესამეხარისხოვანი ადამიანებისგან მცოდნოდა.

დასასრული მე-5 გვერდზე

სახელმწიფო სერვისებით სარგებლობა უკვე სოფლიდან გაუსვლელად, „ლიბერთი ბანკის“ მობილურ ფილიალებშია შესაძლებელი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ ქალაქ გორში ახალ საპილოტე პროექტს იწყებს, რომლის ფარგლებშიც 207 სოფლის მოსახლეობა „ლიბერთი ექსპრესის“ მობილური ფილიალებიდან საბანკო მომსახურებასთან ერთად სახელმწიფო სერვისების მიღებასაც შეძლებს. გორის ცენტრიდან „ლიბერთი ბანკის“ პირველი ავტომობილების გასვლას იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი შიო ხეცურიანი, პარლამენტის წევრები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ. იუსტიციის მინისტრმა მადლობა გადაუხადა „ლიბერთი ბანკის“ გენერალურ დირექტორს იმ შესაძლებლობისთვის, რომ ძირითად სახელმწიფო სერვისებს საქართველოს პატარა სოფლების მოსახლეობაც კი თავისავე საცხოვრებელ ადგილზე მიიღებს. აქამდე „ლიბერთი ბანკის“ ფილიალები ფუნქციონირებდა იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, დღეიდან კი სახელმწიფო სერვისების მიღება პატარა სოფლებში მაცხოვრებთათვის „ლიბერთი ბანკის“ ავტომობილებში იქნება შესაძლებელი. თეა წულუკიანის განცხადებით, ეს თანამშრომლობა კერძო ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის წარმატებული თანამშრომლობის მაგალითია. პროექტი „ლიბერთი ბანკთან“ პარტნიორობით მემორანდუმის ფარგლებში ხორციელდება და მისი მიზანი სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდაა. წლის ბოლომდე მსგავსი მომსახურება 1 000-ზე მეტი სოფლის მოსახლეობისთვის გახდება ხელმისაწვდომი. „ლიბერთი ბანკის“ „ლიბერთი ექსპრესის“ მობილური ფილიალები სახელმწიფო სერვისებით მოემსახურებიან ისეთ სოფლებს, სადაც არ არის წარმოდგენილი საზოგადოებრივი ცენტრები. შესაბამისად, სოფლის მოსახლეობას აღარ მოუწევს შორ მანძილზე გადაადგილება სახელმწიფო სერვისების მისაღებად. „ლიბერთი ექსპრესის“ მობილურ ფილიალებში მომხმარებელს შეუძლია, მიიღოს როგორც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ისე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, საქართველოს ეროვნული არქივისა და შპს „მექანიზატორის“ მომსახურება: პასპორტისა და პირადობის მოწმობის აღება, მიწის რეგისტრაცია, უძრავი ქონების გადაფორმება, საკუთრებასთან დაკავშირებით განაცხადის მიღება, სულადობის ცნობა, საკადასტრო გეგმის მომსახურება, საარქივო მომსახურება და სხვ. საქართველოს მასშტაბით „ლიბერთი ექსპრესის“ 113 მობილური ფილიალი ყოველთვიურად 1 000-ზე მეტ სოფელში 155 000-ზე მეტ მომხმარებელს სთავაზობს სერვისს. „ლიბერთი ექსპრესის“ მობილურ სერვისცენტრში მომხმარებელს შეუძლია, მიიღოს სხვადასხვა სახის საბანკო მომსახურება: პენსიისა და სოციალური დახმარების აღება, ფულადი გზავნილის მიღება ან გაგზავნა, ანგარიშის გახსნა, სესხის აღება, კომუნალური და სხვა გადასახადების გადახდა და სხვ. როგორც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ, **შიო ხეცურიანმა** აღნიშნა, **„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მუდმივად ზრუნავს სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა შეძლოს სახელმწიფო სერვისების გამოყენება დამატებითი დაბრკოლებების გარეშე. მოხარულები ვართ, რომ დღეიდან შიდა ქართლის 207 სოფლის მოსახლეობა სოფელშივე შეძლებს სახელმწიფო მომსახურებების მიღებას“.**

„ჩვენი მიზანია, მომხმარებელს მაქსიმალური კომფორტი შევუქმნათ და მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურება შევთავაზოთ. მოხარულები ვართ, რომ შესაძლებლობა მოგვეცა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან ერთად განვახორციელოთ ეს მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის შედეგადაც მომხმარებელი სახელმწიფო სერვისებს ჩვენი არხების მეშვეობით მიიღებს“, — განაცხადა „ლიბერთი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა **გიორგი არველაძემ**.

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

მე-3 გვერდიდან

„მე და ბატონ ბიძინას ძალიან მძიმე საუბარი გვქონდა!“

— ის მაინც მითხარით, 2013 წლის იანვარში ალასანია მიზანში ვის ჰყავდა ამოღებული?

— არ მინდა ამაზე პასუხის გაცემა... მგონი, ძალიან ნათლად ვლაპარაკობ... ერთ ადამიანსაც არ დავასახელებ, თუმცა ყველაფერი ნათელი იქნება... ვიცოდი, რომ ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ სასტიკი კამპანია წარიმართებოდა. ამის და რაღაც საუბრის თაობაზე ირაკლი ალასანიას, ალექსი პეტრიაშვილსა და ვიქტორ დოლიძეს ვუთხარი; ასევე ვუთხარი სხვა პარტიის ორ ლიდერს.

— დაგიჯერეს?

— კი, დამიჯერეს... კოალიციის ერთიანობისა და იმისთვის, რომ ნაციონალები ახალი დამარცხებული გვყავდა და ხელისუფლება ჯერ ძლიერი იყო, არ გვინდოდა არასტაბილურობის განცდის შექმნა, ამიტომ თავისუფალმა დემოკრატებმა ამბიცია არაერთხელ უსიტყვოდ დავთმეთ.

— „ოცნების“ მინისტრთა კაბინეტში ყველაზე მეტი სავარძელი თქვენ გქონდათ და ესაა ამბიციის დათმობა?

— ამბიციის დათმობა ამბიციის დათმობაა... ისიც ძალიან საინტერესო ისტორიაა, როცა დაიწყო ლაპარაკი, როგორ გაბედა ირაკლი ალასანიამ და პრეზიდენტობა მოინდომაო. როცა კოალიციაში შევედით, ყველამ ვიცოდით, რომ დათო უსუფაშვილი პარლამენტის თავმჯდომარე იქნებოდა, ირაკლი — პრეზიდენტი, ბატონი ბიძინა — პრემიერი, მაგრამ მიუხედავად ამისა, არასოდეს გვითქვამს, ირაკლი კენჭს პრეზიდენტობაზე იყრისო. უბრალოდ, ისე მოხდა, რომ პარტიის წევრებმა იკითხეს, პრეზიდენტობაზე ჩვენი პარტიიდან ირაკლი ხომ არ წარვადგინოთო, მაგრამ ყველამ ვთქვით, არ გვინდა, რადგან ეს ბრძოლა ბატონმა ბიძინამ მოიგო, ვაცადოთ და თუ ეს შეთავაზება მისგან წამოვა, დავთანხმდეთო.

— ისე, ალასანიას უმოქმედო პრეზიდენტობა რისთვის უნდოდა?

— პრეზიდენტი სახელმწიფოს მთავარსარდალია!

— ეს, როგორც იტყვიან, ფურცელზე, ქალბატონო ნინო...

— ჩვენ, რომლებიც დამოუკიდებელი ინსტიტუტების პატივისცემის ლოზუნგით მოვედით, ხომ არ ვიცოდით, რომ ასეთი პოლიტიკური ცხოვრება გვექნებოდა?!

— როგორი ცხოვრება?

— ვამბობდით, ქვეყანას ინსტიტუტები მართავენ და არასოდეს დავუშვებთ, ძალაუფლება ხელში ერთმა ადამიანმა ან ერთმა ინსტიტუტმა ჩაიგდოსო. ამ პრინციპების დღესაც გვჯერა. „სპიჩებზე“ რომ მეკითხებით, იქიდან უკან ერთ სიტყვასაც არ წავიღებ — ის სწორედ ის სიტყვები იყო, რომლისთვისაც თავისუფალი დემოკრატები ვიბრძოდით.

ნაციონალების სისასტიკე „ოცნების“ ხელისუფლების დროს არაა, მაგრამ ამის იქით არაფერია!

— ქალბატონო ნინო, სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ რამდენიმე კითხვა კიდევ უნდა დაგისვათ... თქვენ და ირაკლი ალასანიასაც არაერთხელ გითქვამთ, რომ „კაბელების საქმე“ ივანიშვილის დავალებით „შეიკერა“. ვთქვათ, ასეა, მაგრამ ყოფილ პრემიერს ეს რისთვის უნდა სდომებოდა? რა, ალასანიას წინააღმდეგ შურისძიება ამოძრავდება?

— ამას ვერ გეტყვით, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ: 2013 წლის იანვარში ჩემთვის ცნობილი იყო, რომ ირაკლი ალასანიას პოლიტიკური განაჩენი უკვე გამოუტანეს! ისინი, ვისთან ერთადაც ვიბრძოდით, გრძნობდნენ, რომ ირაკლი ალასანიას პოლიტიკური განაჩენი გამოტანილი ჰქონდა და ფიქრობდნენ, ირაკლიზე კომპრომატების შეგროვებით კეთილგანწყობას მოიპოვებდნენ. ამ საქმიანობაში ბატონ ბიძინასთან კონკურენცია იყო.

— ამ „საქმიანობაში“ რესპუბლიკელებიც მონაწილეობდნენ?

— ცალსახად ვამბობ — არა!

— არც, მაგალითად, ზვიად ძიძიგური?

— მთავარი ისაა, რომ „კაბელების საქმის“ მერე, ადამიანებმა, იმ კოალიციის წევრებმა, რომლებთან ერთადაც ვიბრძოდით და რომლებიც ჩვენი მეგობრები გახდნენ, იმის მაგივრად, რომ თანამებრძოლის მხარე დაეჭირათ და გაკვირვებდათ მაინც, თავიანთი ადგილის დასამკვიდრებლად, ლაპარაკი დაიწყეს, დიახ, აქ კორუფციაა. ის საქმე, რომელსაც საიდუმლო გრიფი ედო, თურმე, წაკითხულიც ჰქონდათ...

— საგანელიძეს გულისხმობთ?

— არა მხოლოდ... ეს ჩემთვის სრულიად მიუღებელია და ასეთ ადამიანებთან არაფერი მესაქმება!

— თუკი ყველაფერი, რასაც ამბობთ, მართალია, ხელისუფლებამ უკან რატომ დაიხია და პროკურატურამ „კაბელების საქმეზე“ დაჭერილთა გირაოთი გათავისუფლება რატომღა მოითხოვა?

— გაცილებით გულწრფელები იქნებიან, თუ ამ საქმეზე ლაპარაკს 2014 წლის ივნისით კი არა, 2013 წლის იანვრით დაიწყებენ.

— ქალბატონო ნინო, იქ, სადაც ალასანიას 2013 წლის იანვარში პოლიტიკური განაჩენი გამოუტანეს, აგენტები გყავდათ თუ როგორ გაიგეთ?

— აგენტები, რა თქმა უნდა, არ მყავდა. იქ თვითონ ვიყავი და სხვადასხვა შეფასება მესმოდა...

— ეს შეფასებები ივანიშვილისგანაც გესმოდათ?

— მე და ბატონ ბიძინას ძალიან მძიმე საუბარი გვქონდა.

— ალასანიასთან დაკავშირებით?

— დიახ...

— გთავაზობდათ, თავისუფალი დემოკრატები დაგეტოვებინათ?

— მეტს არაფერს ვიტყვი... ეს ლაპარაკი 2013 წლის იანვარში იყო და უკვე ვიცოდი, რომ ალასანიას პოლიტიკური განაჩენი გამოტანილი ჰქონდა.

— ქალბატონო ნინო, რისი იმედი გაქვთ, გააზაფხულებთ?

— აუცილებლად! სიმართლისთვის ბრძოლას აზრი ყოველთვის აქვს და სიმართლე აუცილებლად გაიმარჯვებს!

„სასამართლოში ვუჩივლებ!“ — ირაკლი გეგეშიძის ექსკლუზიური პასუხები „მედიატორის“ ბრალდებებზე

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„გამგებლებსა და არჩეულ მერებს გაუჩნდათ განცდა, რომ ისინი ხელშეუხებლები არიან. მინდა, ვუთხრა, რომ ძალიან ცდებიან! მათ აიღეს პასუხისმგებლობა ჩვენი პოლიტიკური ძალისა და პირველ რიგში, იმ ხალხის მიმართ, რომლებმაც ისინი აირჩიეს. ვერავინ გაექცევა პასუხისმგებლობას! თუ ისინი არაეფექტურები არიან და ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს, მათი პასუხისმგებლობის საკითხს აუცილებლად დავსვამთ! მინდა, ყველამ იცოდეს, რომ არაეფექტურობა ყურადღებისმიღმა არ დარჩება“, — ასე მიმართა რამდენიმე დღის წინ გამართულ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მინისტრთა კაბინეტს... შემწვარი ქათამი, ხაჭაპური, ლობიანი, ერთჯერადი ჭიქა და თეფში, ყავა, პეჩენია — ეს კი ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ირაკლი გეგეშიძის ვახშმის წლის ბოლომდე გაწერილი მენიუა, თანაც ბიუჯეტის ხარჯზე, რომელიც პრემიერის ზემოხსენებულ განცხადებამდე „გაფორმდა“.



შემწვარი ქათამი, ხაჭაპური, ლობიანი, ყავა და „პეჩენია“ — ბაღდათის გამგებელი ყოველდღე ბიუჯეტის ხარჯზე ვახშმობს?!

ბაღდათის გამგებლის ვახშამი

არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის“ წევრის, გივი კუბლაშვილის ინფორმაციით, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ირაკლი გეგეშიძემ, ერთ პირთან მოლაპარაკების წესით, ბიუჯეტის ხარჯზე, წლის ბოლომდე, ვახშმის მომსახურება შეიძინა. 2015 წლის 20 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ი/მ ხათუნა ჩარკვიანთან მუნიციპალიტეტის გამგებელმა ხელშეკრულება გააფორმა.

გივი კუბლაშვილი ირაკლი გეგეშიძის ვახშმის მენიუს ფასებთან ერთად აქვეყნებს: 1 ცალი ლობიანი — 1 ლარი, 1 ცალი ხაჭაპური — 7 ლარი, 1 პიცა — 12 ლარი, შემწვარი ქათამი — 12 ლარი, 1 კგ. ქათმის სალათი — 26 ლარი, 1 ნამცხვარი — 35 ლარი, 1 ერთჯერადი ჭიქა — 0.05 ლარი, 1 ერთჯერადი თეფში — 0.10 ლარი, 1 ერთჯერადი ჩანგალი — 0.05 ლარი, პეჩენია, ყავა, შაქარი და სხვა:

„გასაგებია, რომ ამ ადამიანს სირცხვილის გრძნობა არ აქვს, მაგრამ ნუთუ, გამგეობაში გონიერი არავინ მუშაობს, რომ ერჩია, მსგავსი ქმედებებისგან თავი შეეკავებინა? მინდა, საზოგადოებას შევახსენო, ეს ის გამგებელია, რომელმაც სამსახურიდან სოფლების 49 რწმუნებული გაათავისუფლა. ირაკლი გეგეშიძემ ის თანამშრომელიც დაითხოვა, რომელსაც სახლი დაეწვა და მისი ოჯახი უსახლკაროდ, ყოველგვარი შემოსავლის გარეშე დარჩა. ეს არის გამგებელი, რომელიც ამტკიცებდა, რომ წინა წლებთან შედარებით, 2015 წელი ბაღდათელებისთვის ბევრად უკეთესი იქნებოდა, რადგან მოსახლეობის კეთილდღეობასა და ქალაქის ინფრასტრუქტურაზე გამგეობა იზრუნებდა, თუმცა ჯამში, ირაკლი გეგეშიძემ მხოლოდ საკუთარ სტომაქზე იზრუნა და წლის ბოლომდე, ბაღდათის ბიუჯეტით, ვახშამი გაინაღდა“, — აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის“ წევრი **გივი კუბლაშვილი**.

— გივი, ის, რაც გამოაქვეყნეთ, ბაღდათის გამგებლის ყოველდღიური ვახშამია?

— არა... ამავე რაიონში მცხოვრებ ი/მ ხართუნა ჩარკვიანთან 585-ლარიანი ხელშეკრულება გააფორმა და ამ მენიუს, ერთი წლის განმავლობაში, როცა მოისურვებს, მაშინ მიიღებს. რაც თქვენ ნახეთ, 127-ლარიანი მენიუა, მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მენიუ მხოლოდ ერთ პერსონაზეა გათვლილი. ჩამონათვალშია ერთი ერთჯერადი ჭიქა, ერთი ჩანგალი, ერთი თეფში... ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მართლაც სამარცხვინოა.

— ირაკლი გეგეშიძის გადადგომას ჯერ კიდევ თებერვალში ამიტომ ითხოვდით?

— არა, ეს მენიუ ახლახან გამოვაქვეყნეთ, თებერვალში კი ბაღდათის რაიონში აქციები იმიტომ გავმართეთ, გამგებელმა 49 რწმუნებული უკანონოდ გაათავისუფლა. ამ ადამიანებს უთხრეს, რომ რწმუნებულების ინსტიტუტი გაუქმდა, მაგრამ რამდენიმე დღეში, სოფლის რწმუნებულის ნაცვლად, სოფლის წარმომადგენლის თანამდებობა „შექმნეს“ და ახალი, 49 თანამშრომელი აიყვანეს. ჩვენი კვლევებით გაირკვა, რომ ისინი ან გამგებელთან დაახლოებული პირები ან პარტიული აქტივისტები არიან.

— მსგავსი ტიპის დარღვევები სხვა მუნიციპალიტეტებშიც აღმოაჩინეთ?

— ჩვენი ორგანიზაცია საქართველოს თვითმმართველი ორგანოების საქმიანობას, მათ მიერ გამოცხადებულ ტენდერებსა და გაფორმებულ ხელშეკრულებებს სწავლობს. ანალოგიური შემთხვევა დავაფიქსირეთ აჭარაშიც, სადაც ბაღდათის მუნიციპალიტეტის მსგავსად, უკანონოდ გაათავისუფლეს თანამშრომლები. მიზეზი აჭარაშიც იგივე იყო — სოფლის რწმუნებულების თანამდებობა გააუქმეს. რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, ამ მხრივ დარღვევები თბილისის უმრავლეს გამგეობაში აღმოვაჩინეთ და ვერავინ იტყვის, რომ ეს ფაქტები ტყუილია — ნებისმიერი ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი გვაქვს და მათი ნახვა ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. მაგალითად, თბილისში, დიდუბის რაიონის გამგებელმა, ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე, მაღაზიასთან ორი ხელშეკრულება გააფორმა. ერთი ხელშეკრულებით, მინერალური წყალი და „კოკა-კოლა“, მეორე ხელშეკრულებით ხილი, რძიანი ყავა და ყოველდღიური მოხმარების სხვა პროდუქტი შეიძინა. ხელშეკრულება ბიუჯეტის ხარჯზე გააფორმა, პროდუქტი კი პირადი მოხმარების მიზნით შეიძინა, რაც არამხოლოდ არამიზნობრივი ხარჯვა, არამედ დანაშაულიცაა.

შემწვარი წიწილა, 35-ლარიანი ნამცხვარი, პიცა და...

დიდი კულინარიული მიღწევებითა და შეფმზარეულისთვის დამახასიათებელი უნარჩვევებით არ გამოვირჩევი, მაგრამ სხვადასხვა ნამცხვრის ცხობა და დესერტის მომზადება შემიძლია. ძალიან გემრიელი, მსუყე და ბევრინგრედიენტიანი ნამცხვარი, საშუალოდ, 15-20 ლარამდე ჯდება და ესეც იმ შემთხვევაში, თუ მაინცდამაინც ორი ქილა შედედებული რძე, 10-მდე კვერცხი, 2 კგ-მდე შაქარი, რძე... გჭირდებათ. მოკლედ, ორი დღეა, ვითვლი, ვანგარიშობ, თავს ვიმტვრევ, ნეტა, რა ნამცხვარი შეუკვეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ი/მ ხათუნა ჩარკვიანს ისეთი, რომ 35 ლარი დაუჯდა? დესერტებიდან ყველაზე მეტად „ტირამისუ“ მიყვარს, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ იტალიური მდნარი ყველი „მასკარპონე“ და სპეციალური, „ტირამისუს“ ჩხირები სჭირდება (სხვა ინგრედიენტებთან ერთად), არადა, ყველაფერი ეს, ჯამში, 35 ლარი ნამდვილად არ ღირს! მაგალითად, შუაგულ ვაკეში მდებარე ერთ-ერთ პრესტიჟულ კაფეში 25-დან 30 ლარამდე დაგიჯდებათ...

მოკლედ, გამგებელი ყოველდღე უკვეთავს 1 ცალს ხაჭაპურს, 1 შემწვარ წიწილს, 1 კგ. ქათმის სალათს, პიცას და ლობიანს, მაგრამ მხოლოდ ბიუჯეტის ხარჯზე! როგორც ჩანს, საკუთარი დანაზოგით შეძენილი უგემურია, ნამდვილმა „გურმანებმა“ კი აუცილებლად ბიუჯეტის ხარჯზე უნდა დაგემოვნონ, რათა ბოლომდე დატკბნენ და ჭამით მიღებული სიამოვნებაც სრულად შეიგრძნონ. წელიწადზე მეტია, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ციკანსა და ხბოს მწვადებს გადავაყოლეთ და ესეც იმიტომ, რომ უცხოელი სტუმრები რესტორანში დაპატიჟა — გაუმასპინძლდა. თუკი ნოდარ ხადურისთვის არ შეიძლება ციკანი (არადა, გარკვევით მითხრა ინტერვიუში, რომ ცხოვრებაში არ გაუსინჯავს ციკნის ხორცი), ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბიუჯეტის ხარჯზე, ყოველდღე შემწვარი წიწილა რატომ უნდა დააგემოვნოს? რა განსხვავებაა ხადურის ციკანსა და გეგეშიძის შემწვარ წიწილას შორის? თანაც ეს უკანასკნელი, 35-ლარიან ნამცხვარსაც არ იკლებს, თურმე!..

„ვერსია“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელს, **ირაკლი გეგეშიძეს** დაუკავშირდა და ყოველდღიური ვახშმის მენიუს პიკანტური დეტალები ხუმრობის გარეშე, სრული სერიოზულობით გამოკითხა:

— ბატონო ირაკლი, ი/მ ხათუნა ჩარკვიანთან ყოველდღიურ ვახშამზე ხელშეკრულება რატომ გააფორმეთ?

— ძალიან რბილად რომ გითხრათ, არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორმა“ აბსოლუტური სისულელე და სიცრუე გაავრცელა. ხელშეკრულებას თუ ჩახედავთ, დარწმუნდებით, რომ ი/მ ხათუნა ჩარკვიანთან, წლის ბოლომდე, შესყიდვა კვების პროდუქტზე განხორციელდა. ეს ჩემი ყოველდღიური ვახშამი კი არ არის, ექიმთა ჯგუფი გვყავდა სტუმრად, რომელიც მოსახლეობას უფასოდ ემსახურებოდა. ეს ექიმები გვიან წავიდნენ ბაღდათიდან, რადგან უამრავი პაციენტი მიიღეს და ბუნებრივია, შესვენებაზე აუცილებლად უნდა გავმასპინძლებოდით. სხვათა შორის, ეს ექიმები მეორედაც მოვიწვიეთ, რადგან, როგორც გითხარით, ბევრმა ბაღდათელმა გამოთქვა სურვილი, ემკურნალა. ამ მენიუთი ორჯერ სწორედ ექიმებსა და შშმ პირებს მოვემსახურეთ. შშმ პირები ლაგოდეხის რაიონში, ღონისძიებაზე მიდიოდნენ და გვთხოვეს, ან თანხა გამოგვიყავით, ან საკვებიო. გავიკითხე, ამ სიტუაციაში როგორ უნდა მოვქცეულიყავი და ამიხსნეს, რომ ხელშეკრულება ი/მ ხათუნა ჩარკვიანთან უნდა გამეფორმებინა, რომელიც ადრეც ემსახურებოდა გამგეობას. გულახდილად რომ გითხრათ, ხელშეკრულება ნორმალურად არც კი მინახავს, ელექტრონული ვერსია შემომიტანეს, ხელი მოვაწერე, მაგრამ მენიუს დანართი თვალით არ მინახავს. არ მესმის, რა კავშირშია გამგებელი ან მისი ვახშამი? გარდა იმისა, რომ უსინდისობა და ცილისწამებაა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩემი შეურაცხყოფაცაა. ერთწლიანი, 585-ლარიანი ხელშეკრულება გაყავით დღეებზე და რამდენი გამოგივათ დღეში, ნახავთ. ამ გაანგარიშებით, ჩემი კომპლექტაციის ადამიანის ვახშამი, დღეში 2.50 ლარიც კი არ გამოსდის! ადამიანმა ყველაფერი შეიძლება მოიგონოს, მაგრამ ასეთი აბსურდი წარმოუდგენელია. მეორე დღესვე მინდოდა ამ ინფორმაციის გასაჩივრება, მაგრამ იურისტებმა მითხრეს, დროსა და ენერგიას ტყუილად დავხარჯავთო და თავი დავანებე. სხვათა შორის, „მედიატორმა“ მეორე ტყუილიც გაავრცელა და დამაბრალა, თითქოს უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანი უკანონოდ გავათავისუფლე, არადა, ის ჩვენთან დღემდე მუშაობს.

— 49 რწმუნებული სამსახურიდან რა მიზეზით დაითხოვეთ?

— ეს ამ ორგანიზაციის მესამე ტყუილია, რადგან თვითმმართველობის ახალი კოდექსიდან გამომდინარე, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, სოფლის რწმუნებულის ინსტიტუტი საერთოდ გაუქმდა. წინა ხელისუფლების დროს, ზოგიერთ თემში, რწმუნებულად 7-8 ადამიანი იყო გაფორმებული. არჩევნების შემდეგ კი, კანონის თანახმად, ყველა რწმუნებული გავაფრთხილე და ორი თვის შემდეგ, ეს ადამიანები გათავისუფლდნენ.

— ამის შემდეგ ამ თანამდებობაზე არავინ მიგიღიათ? „მედიატორში“ მითხრეს, რომ მათ ნაცვლად, 49 ახალი თანამშრომელი აიყვანეთ.

— ახალი 49 თანამშრომელი არ მიგვიღია. თვითმმართველობის ახალი კოდექსის მიხედვით, რწმუნებულების აპარატებისა და საბჭოების ნაცვლად, სოფლებში გამგებლის წარმომადგენლები არიან, რომლებიც კონკურსის წესით დაინიშნენ. ბაღდათის მუნიციპალიტეტში 15 თემია, სადაც გამგებლის თითო წარმომადგენელია დანიშნული. გიმეორებთ, ეს 15 ადამიანი, კონკურსის წესით შევარჩიეთ.

— ბატონო ირაკლი, ისევ ვახშმის მენიუს დავუბრუნდეთ, ჩამონათვალში აღნიშნული 1 ხაჭაპური, 1 ლობიანი, 1 შემწვარი წიწილა, 1 თეფში, 1 ჩანგალი, 35-ლარიანი ნამცხვარი ექიმთა ჯგუფის ვახშამი იყო?

— ამ შესყიდვაში სად წერია გამგებელი ან ვახშამი? წერია, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტმა, 585 ლარად, კვების პროდუქტი შეიძინა. არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის“ წარმომადგენელს, გივი კუბლაშვილს მართლა ვუჩივლებ სასამართლოში! ეს პიროვნება ერთხელ, შეურაცხმყოფელი ტონით შემოგვივარდა გამგეობაში და გვიყვირა, თითქოს ნათესაური კავშირის გამო ვნიშნავ აქ ხალხს, მაგრამ ერთი ადამიანიც ვერ დამისახელა, რომელი იყო ჩემი ნათესავი! ისიც გასარკვევია, რა ორგანიზაციაა „მედიატორი“, ეს არის დაქირავებული პიროვნება, რომელიც ჩემზე პასკვილებსა და სრულ სისულელეს მიზანმიმართულად ავრცელებს. ერთხელაც ჩაუვარდება კოვზი ნაცარში, რადგან ვაპირებ, სასამართლოს მივმართო. რაც შეეხება ვახშმის მენიუს, შესვენებაზე ორჯერ გავუმასპინძლდით ექიმებს და შშმ პირებს საკვები გზად გავატანეთ. მითხარით, რა გამგებლის საქმეა, ლობიანი გაატანეს გზაში, ხაჭაპური თუ ქათმის ბარკალი?

დასასრული მე-7 გვერდზე

მაია მიშელაძე
593-51-90-12

78 ხმით პარლამენტმა ქვეყნის საფინანსო დამოუკიდებლობას საფრთხე შეუქმნა!

78 ხმით ერთის წინააღმდეგ — საქართველოს პარლამენტმა, რიგგარეშე სხდომაზე, პირველი მოსმენით დეპუტატების — თამაზ მეჭიაურისა და ნოდარ ებანოიძის ინიცირებული კანონპროექტი მიიღო, რომლითაც ეროვნულ ბანკს ფინანსური მონიტორინგისა და საბანკო ზედამხედველობის სამსახური უნდა გამოეყოს. თავიდანვე ცხადი იყო, ცვლილებების კანონპროექტს მხარს ნაციონალური მოძრაობა და თავისუფალი დემოკრატები არ დაუჭერდნენ და ასეც მოხდა. მეჭიაური-ებანოიძის ინიციატივას წინააღმდეგობა მურმან დუმბაძემაც გაუწია. უკვე ცნობილია საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის პოზიცია, რომელიც აპირებს, პარლამენტის გადაწყვეტილებას ვეტო დაადოს.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, თამაზ მეჭიაურმა და მისმა მოადგილემ, ნოდარ ებანოიძემ ეროვნული ბანკის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების კანონპროექტი დაახლოებით, ერთი თვის წინ მოამზადეს. ინიციატივას თავიდანვე არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა: საპარლამენტო უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ თუ ეროვნულ ბანკს საბანკო ზედამხედველობის სამსახური ჩამოშორდებოდა, ამით ქვეყნის მთავარ ბანკს პოლიტიკური გავლენისგან გაათავისუფლებდა. საპარლამენტო უმცირესობის აზრით კი, ცვლილების შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკის გამოშიგვნა და ქვეყნის ფინანსური სექტორის ნგრევა დაიწყება.

„ვერსია“ წერდა, რომ თავის დროზე, ეს საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრის, კახა ბენდუქიძის იდეა იყო, რომელიც ახლა მეჭიაურმა და ებანოიძემ „მიითვისეს“. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ბიზნესსექტორისა და ეკონომიკის ექსპერტების დიდი ნაწილი, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები — ეს ის ძირითადი ჩამონათვალია, რომლებიც მეჭიაური-ებანოიძის იდეას თავიდანვე დაუპირისპირდნენ. ხანგრძლივმა შეხვედრებმა, განხილვებმა თუ დებატებმა ერთგვარი შედეგი გამოიღო და 26 ივნისს, პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე, მეჭიაურმა და ებანოიძემ პირველი მოსმენით წარადგინეს კანონპროექტი, რომელშიც ბოლო ერთი თვის განმავლობაში, 70-მდე ცვლილება შეიტანეს.

იმ კანონპროექტის მიხედვით, რასაც „ქართული ოცნების“ ძირითადმა შემადგენლობამ 78 ხმით კენჭი უყარა, საბანკო ზედამხედველობის სამსახური, ეროვნულ ბანკს კი გამოეყოფა, მაგრამ სტრუქტურულად, კვლავ ეროვნული ბანკის შემადგენლობაში იქნება. მოკლედ, საბანკო ზედამხედველობის სააგენტო ამიერიდან იქნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), რომელიც ეროვნული ბანკის ქოლგის ქვეშ რჩება. სააგენტოს 7 წევრიდან 2-ს ეროვნული ბანკი, 5-ს კი საქართველოს მთავრობა წარადგენს, რომლებსაც პარლამენტი დაამტკიცებს. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი იცვლება, სინამდვილეში კი, მეჭიაური-ებანოიძის ამ ინიციატივით, საფრთხე არა მხოლოდ საბანკო სექტორის მდგრადობასა და დამოუკიდებლობას ექმნება, არამედ, ეს ცვლილება თავიდან ბოლომდე ანტიკონსტიტუციურია. რაც მთავარია, წინააღმდეგობაში მოდის საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებასთანაც.

საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა ქვეყნის კონსტიტუციითაა გამყარებული. აქამდე, კონსტიტუციისა და ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონის მიხედვით, ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ქვეყნის პრეზიდენტი შეარჩევდა, რომელსაც პარლამენტი ამტკიცებდა. რაც შეეხება ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, მისი კანდიდატურის შერჩევაც ქვეყნის პრეზიდენტის დისკრეციაა, რომელსაც ასევე პარლამენტი ამტკიცებს. მეჭიაური-ებანოიძის კანონპროექტის თანახმად, სსიპ საბანკო ზედამხედველობის სააგენტოს 7 წევრიდან 5 საქართველოს მთავრობამ უნდა შეარჩიოს, რაც, რბილად რომ ვთქვათ, დაუშვებელია. მაგალითად, რატომ უნდა გააკონტროლოს კომერციული ბანკების საქმიანობა პირმა, რომელიც ამ თანამდებობაზე ეკონომიკის, ფინანსთა ან, თუნდაც, შინაგან საქმეთა მინისტრმა წარუდგინა პარლამენტს?! რაც მთავარია, ცვლილებების შედეგად, პარლამენტმა იმას მიაღწია, რომ გიორგი მარგველაშვილი ამ პროცესიდან ჩახსნა, რაც კონსტიტუციის დარღვევაა.

ორი დღის წინ, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილსა და პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს ოთხი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის, მათ შორის, მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (იბიარდი), აზიის განვითარების ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) წარმომადგენლებმა ოფიციალური წერილით მიმართეს: „მოგმართავთ, რათა ღრმა შეშფოთება გამოვხატოთ საქართველოს ორგანულ კანონში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ. ჩვენ გვჯერა, ცვლილებების მიღება პარლამენტში ინიცირებული ფორმით, შეასუსტებს საქართველოში საბანკო ზედამხედველობის დამოუკიდებლობის ხარისხს, საფრთხეს შეუქმნის საბანკო სექტორის სტაბილურობასა და რისკის ქვეშ დააყენებს მდგრადი ეკონომიკური ზრდის პერსპექტივას“.

რას ნიშნავს მსოფლიოს ოთხი წამყვანი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის წარმომადგენელთა ეს მიმართვა? საქართველოს პრეზიდენტის ვეტოს გარდა, რა იურიდიული და სამართლებრივი მექანიზმები არსებობს, რათა პარლამენტმა მეჭიაური-ებანოიძის კანონპროექტი ჩააგდოს? „ვერსიას“ სამართლისა და ეკონომიკის ექსპერტი ლევან ალაფიშვილი ესაუბრება:

„2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს რომ ჩახედოთ, ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ამ ოთხი ორგანიზაციის მიმართ, 2 მილიარდ 500 მილიონი აშშ დოლარისა და 5 მილიარდი ლარის ვალი აქვს. აქამდე ფინანსთა მინისტრი რომ ამბობდა, მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, სსფ და იბიარდი მხარს უჭერენ ბიუჯეტში ჩვენს მიერ გატარებულ ცვლილებებსო, როგორ ფიქრობთ, თუკი მთავრობა მათ მიმართვას არ გაიზიარებს და ამ კანონპროექტს მიიღებს, პრობლემები არ შეგვექმნება? საბიუჯეტო ცვლილების მთავარი არსი ხომ ისაა, რომ პირობითად, ჩხოროწყუს გზის პროექტის ნაცვლად, რისთვისაც მაგალითად, აზიის განვითარების ბანკმა გამოყო თანხა, მოხმარდეს რომელიმე ცენტრალური გზის პროექტს. თუკი ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით, ამ ორგანიზაციების შენიშვნას არ გავითვალისწინებთ, აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლები ისევ მშვიდად შეხვდებიან ხადურის გატარებულ ცვლილებებს? რაც შეეხება სამართლებრივ და იურიდიულ მექანიზმებს, გარდა იმისა, რომ ქვეყნის პრეზიდენტს შეუძლია, ვეტოს უფლება გამოიყენოს, შეგვიძლია ეს გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოშიც გავასაჩივროთ, თუმცა სხვა გზებიც არსებობს, მართალია, ცვლილებების კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღო პარლამენტმა, მაგრამ შესაძლებელია, მისი ამ პოზიციაში ჩატოვება. ეს ნიშნავს, რომ მეორე და მესამე მოსმენა აღარ გაიმართოს და ამ მდგომარეობაში ჩარჩეს. შეგახსენებთ თავდაცვის შესახებ კანონპროექტში განხორციელებულ ცვლილებებს, რასაც მაშინ ღიად ვუპირისპირდებოდი, მივიღეთ პირველი მოსმენით, მაგრამ დღეს ეს კანონპროექტი აღარავის ახსოვს, მეორე და მესამე მოსმენა არ გამართულა. არის კიდევ ერთი მექანიზმი, მაგალითად, თუ მეორე მოსმენა მაინც გაიმართება, შესაძლებელია, ამ კანონპროექტში მნიშვნელოვანი კოსმეტიკური ცვლილებების შეტანა, რაც ამ კანონპროექტს არსებითად უკეთესობისკენ შეცვლის... სრულიად თავისუფლად შეიძლება, მეორე მოსმენის დროს, სხდომის დაწყების ან თუნდაც კენჭისყრისას, მოულოდნელად, კვორუმი საკმარისი არ აღმოჩნდეს“.

„სასამართლოში ვუჩივლებ!“ — ირაკლი გეგეშიძის ექსკლუზიური პასუხები „მედიატორის“ ბრალდებებზე

მე-6 გვერდიდან

თვალით არ მინახავს მენიუს დანართი, როგორც ჩანს, რაც შეიძინეს, ხელშეკრულებას ის დაურთეს, თორემ ხელი მხოლოდ კვების პროდუქტის შესყიდვის ხელშეკრულებას მოვაწერე.

— ბაღდათის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები არ შეგიჩერებიათ?

— რა სისულელეა! თუ იმ პროექტზე მეკითხებით, რომელზეც ტენდერი ორჯერ გამოცხადდა, მაგრამ საეჭვო წარმოშობის კომპანია სამუშაოებს უხარისხოდ ასრულებდა, დიახ, შევაჩერე! როგორ გგონიათ, არ უნდა შემეჩერებინა და უფლება მიმეცა, საქმე უხარისხოდ გაეგრძელებინა? ახლა ამ პროექტზე ტენდერი მესამედ გამოცხადდა, რომელშიც მესამე კომპანიამ გაიმარჯვა, ვადა 1 აგვისტომდე აქვს და ვნახოთ, რას ჩაგვაბარებს.

— კონკრეტულად, რა პროექტი გაქვთ მხედველობაში?

— მეორე ბაღის რემონტი ქალაქ ბაღდათში, თუმცა მე რატომ მეკითხებით, „მედიატორის“ წევრებს არ დაუსახელებიათ ის პროექტები, რომლებიც თითქოს შევაჩერე? ასე მეც შემიძლია გითხრათ, ამ ორგანიზაციამ მთვარეზე კოოპერატივი გახსნა-მეთქი, როგორ შეიძლება, დაუსაბუთებელი ფაქტებით საუბარი? ხომ გითხარით, ეს პიროვნება გარკვეული წრეების მიერაა დაქირავებული, საბოლოოდ, ყველაფერს გავარკვევ და სასამართლოში ვუჩივლებ, რადგან ასეთი ცილისწამება და უსაფუძვლო ბრალდებები არ შეიძლება!

ირაკლი გეგეშიძის ბიოგრაფია

ირაკლი გეგეშიძე 1959 წლის 30 ივლისს, თბილისში, ინტელიგენტების ოჯახში დაიბადა. თბილისის 57-ე სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, სწავლა მოსკოვში, სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში განაგრძო, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა და ეკონომისტის პროფესიას დაეუფლა. 1989 წელს, სამშობლოში დაბრუნებულმა, მუშაობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სამმართველოს პირველ მდივნად დაიწყო. სხვადასხვა დროს, ამავე სამინისტროში საკონსულო სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველი იყო.

1992-1996 წლებში, საზღვარგარეთ (დიდი ბრიტანეთი, კანადა, კვიპროსი, აშშ, რუსეთის ფედერაცია) მუშაობდა. იყო საინვესტიციო კომპანია STARTUP INTERNATIONAL-ის აღმასრულებელი დირექტორი. 1994-1996 წლებში, ბიზნესში საქმიანობის პარალელურად, კენედი-ვესტერნის უნივერსიტეტის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიიღო ბიზნესის ადმინისტრირებაში, 1996 წლიდან კი, აუდიტორული კომპანია PROFESSIONAL-ის გენერალური დირექტორი და პარტნიორი გახდა. 1998 წლიდან, სააქციო საზოგადოება „ბაგრატიონი 1982“-ში, ჯერ გენერალური დირექტორი იყო, 2004 წლიდან კი — სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. ამავდროულად, ამერიკული საინვესტიციო ფონდის AGRIBUSINESS PARTNERS INTERNATIONAL-ის წარმომადგენელია საქართველოში. 2007 წელს, შპს „ასპინძა პროდაქტის“ გენერალურ დირექტორად დაინიშნა, 2012 წლიდან კი სააქციო საზოგადოება „კაიზერის“ პრეზიდენტია.

გარდა ამისა, ირაკლი გეგეშიძე იყო საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვიცე-პრეზიდენტი, საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტი საქართველოში, საქართველოს წარმომადგენელი მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ასოციაციასა (OIV, პარიზი, საფრანგეთი) და BSEC-ის (სტამბოლი, თურქეთი) ქვეყნების ბიზნესსაბჭოში. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელს ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

რა ქონებას ფლობს ბაღდათის გამგებელი

ოფიციალური ინფორმაციით, ქონებრივ დეკლარაციაზე დაყრდნობით, ირაკლი გეგეშიძე საკმაოდ შეძლებული ჩინოვნიკია. თბილისში, მოსაშვილის ქუჩაზე ორი ბინისა და სხვენის მფლობელია. მცხეთის რაიონის, სოფელ საგურამოში, 160 კვ.მ. ფართის სახლს ფლობს, თბილისში, თემქის დასახლებაშიც აქვს ერთი ბინა და ბაღდათის რაიონის სოფელ დიმშიც 200 კვ.მ. ფართის სახლი დედასთან, ფაინა გეგეშიძესთან ერთად. ამავე სოფელში აქვს 1 200 კვ.მ-იანი მიწის ნაკვეთიც. მის საკუთრებაშია მოსკოვში, სხვადასხვა ქუჩაზე მდებარე ოთხი ბინა.

ქონებრივ დეკლარაციაში თვალს მოგჭრით ბაღდათის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების ჩამონათვალი მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოში, სადაც სახლის გარდა, მიწის 6 ნაკვეთის 100%-იანი მფლობელია. ერთი ნაკვეთის ფართობი 7 000კვ.მ-ია, მეორის — 5 800, მესამის — 8 100, მეოთხის — 5 500, მეხუთის — 4 100 კვ.მ, მეექვსე ნაკვეთის კი — 3 300 კვ.მ.

ირაკლი გეგეშიძეს 70 000 აშშ დოლარიანი სადეპოზიტო ანგარიში აქვს გახსნილი საქართველოს ბანკში, რუსეთის „სბერბანკში“ 2 500 000 რუბლი ენახება, „ნათვესტბანკში“ — 330 000 ბრაზილიური რიალი, „ბენკ ოფ ამერიკაში“ — 150 000 აშშ დოლარი, ლიბერთი ბანკში კი მისი მიმდინარე სახელფასო ანგარიში 2 000 ლარია.

შეინ!

ლევან სეფისკვერაძე

დიდებულია შენი ქალაქი საღამოობით. მით უმეტეს, ზაფხულში და მით უმეტეს, თუკი მდინარესთან ახლოს ცხოვრობ. წამოუბერავს ნიავი ამ მდინარიდან და დასიცხულ სხეულზე მალამოსავით დაგედება ნიავის ქროლვა. რა გინდა მეტი? ისიამოვნე ამ ნიავით, გაკბიჩე მაცივრიდან ახლადგამოღებული ცივ-ცივი კახური ატამი და იფიქრე ყველაფერ კარგზე..

მაგრამ რა უნდა ქნა მაშინ, როდესაც თბილისის ერთ-ერთ ყველაზე დარდიან ალაგას მდებარე უბანში ცხოვრობ, შენს სახლტან ჩამომავალი მდინარე ხანდახან ცხოვრებას გინგრევს და შენი კორპუსის წინ მეძავთა უცნობილესი ნავსაყუდელია? ზიხარ შენთვის აივანზე, ნიავის ქროლვას ელი, ხელში ცივი ატამი გიჭირავს და აივნის ქვემოდან მეძავებისა და მათი კლიენტების შეძახილები გესმის. „თავს ნუ იფასებ, ანჟელ, 10 თუმანი კარგი ფულია, ჩემმა მზემ. გაჰყე იმ ვერანა ბიჭსა. განა ისეთს რას გიზამს რაც აქამდინ არ უქნიათ? ადე, ნუ ინაზები პატარძლისეეფა“, — ეუბნება ერთი მეძავი მეორეს და თან მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის მომძვრალ ქუსლს აჭედებს ტროტუარიდან ამოძრობილი ფილაქნით.

შენ, რა თქმა უნდა, არ მოგწონს, რომ მეძავების აბდაუბდა საფიქრალი შენსა და შენი ქალაქის ურთიერთობაში ჩარიეს. აბა, მეძავების ყაყანის ხალისი იქნება? მაგრამ იცი, რომ აქ მეძავები ხვალაც მოვლენ, ზეგაც და საერთოდ, შენ შეიძლება, ბინა გაყიდო და მდინარესთან ახლოს სხვა ბინა იყიდო (რათა ზაფხულობით ნიავს უფრო ძალუმად შეუშვირო დასიცხული მკერდი), მაგრამ ეს მეძავები არსად წავლენ — ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე ასე იდგებიან, დაბერდებიან, უფრო მეტად დაუშნოვდებიან, ველარც ფერუმარილი უშველით და ვერც — ვერაფერი, მაგრამ ბოლომდე ჯიუტად დადგებიან იმ ამოყრილფილაქნებიან ტროტუარზე და ალბათ, სამარადჟამოდ იგინიასებენ შენი და სხვა შენსავით ქალაქზე შეყვარებული ხალხის გულის გასახეთქად.

მაგრამ შენ ჯერ კიდევ არ იცი, რა გელის და წარმოდგენაც კი არ გაქვს, რა შეიძლება მოხდეს ღამის პირველ საათზე. შენ ჯერ წარმოდგენა არ გაქვს, როგორ ადიდდება ეს კოხტა და პატარა მდინარე, როგორ წამოიღებს ლოდებსა და ხეებს, როგორ შემოგივარდება სახლში და როგორ გააუბედურებს უამრავ ადამიანს. ეს არც შენმა მეზობლებმა და შენი სახლის წინ მდგომმა მეძავებმა იციან და ჯერ მხოლოდ ზაფხულის გრილი საღამოა — აი, ტერენტი რომ წერდა, ისეთი..

ამასობაში, აივნიდან ხედავ, რომ ტროტუარზე მხოლოდ ერთი მეძავი რჩება. უკვე მობერებული და მოსუქებული მეძავი, რომელიც შენი კორპუსის კედელზეა მიყრდნობილი და თავი ზუსტად ისე ჩაუქინდრავს, როგორც შენი საყვარელი კლუბის მწვრთნელს მეორე გოლის გაშვების შემდეგ. ხვდები, რომ ეს უბედური ქალი უკვე აღარც ცდილობს კლიენტის გამოჭერას. უბრალოდ, დგას და მეტი არაფერი. შეიძლება, წასასვლელიც არსად აქვს და ზაფხულის ამ ღამის გატარებას სულაც აქვე აპირებს. შენ გეცოდება მეძავი. ძალიან გეცოდება. ასეთი კარგი საღამო რომ არ ყოფილიყო, სულ სხვა ხასიათზე იქნებოდი და შეიძლება, მაცივრიდან ახლადგამოღებული რამდენიმე ცივ-ცივი ატამიც მიგეცა იმ ჩაპუტკუნებული საცოდავი ქალისთვის, მაგრამ შენი თავი უფრო მეტად გეცოდება და სულ ივიწყებ დაღლილ და ბედსშეგუებულ მეძავს.

სულ ცოტა დროა დარჩენილი იქამდე, სანამ უბედურება დატრიალდება. შენ შორიდან ყრუდ გესმის ზოოპარკიდან გამომავალი ლომის ბუხუნის ხმა და გულში დამნაშავის გრძნობით იხსენებ, რომ წინა კვირას კიდევ ერთხელ ვერ აუსრულე შვილს დაპირება და ვერ მოიცალე ზოოპარკში მის წასაყვანად. ზოოპარკში, რომელიც ასე ახლოსაა შენი სახლიდან და ზოოპარკში, რომელიც შენი საყვარელი მდინარის პირას მდებარეობს. ეს მდინარე ბევრჯერ ადიდებულა, მაგრამ მერე, რა? საქართველოში ვის უკვირს მდინარის ადიდება?

და მერე ყველაფერი იცვლება. იცვლება საშინლად, შემზარავად. შენს მაცივარში კიდევ დევს ორიოდე შეუჭმელი ატამი, შენი პირველსართულელი მეზობლების მაცივრები კი უკვე წყლითაა სავსე.

შენ მერია გყავს და თან არც გყავს, შენი სახლის წინ მეძავი დგას და თან არცაა მეძავი, რადგან მეძავი კლიენტის გარეშე აბა, რის მეძავია? შენ ცხოვრობ ქვეყანაში, რომელსაც აქვს თავისი დროშა, გერბი, ჰიმნი, ჰყავს პრეზიდენტი, პარლამენტი, პრემიერი, მთავრობა, ოპოზიცია, ზოოპარკი, მგზავრთან ჩხუბის დროს გარდაცვლილი ავტობუსის მძღოლი და შენ ამ ყველაფერს იტან! შენ გმირი ხარ! შენს მოთმინებას გაუმარჯოს!

უპატრონო ფულები

როგორ გაუმწარეს სიცოცხლე „კაიბიჭებმა“ თაღლითობისთვის გასამართლებულ თამაზ თ-ს

პატიმარი №0578

ალბათ, ყველას გაგიგიათ, „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენენო“. ციხეში კი ეს ფრაზა ასე ჟღერს: „უპატრონო პატიმარს კაიბიჭები დაეპატრონენო“. უპატრონო პატიმარი „ბედალაგაში“ არ აგერიოთ, საუბარი ისეთ პატიმარზეა, რომელსაც დიდი ფული აქვს, კრიმინალთან შეხება კი არასოდეს ჰქონია და ციხეში მოხვედრის შემდეგ, ამ ფულის ნაწილით „კაიბიჭების“ რჩენა უწევს. სწორედ ასეთი პატიმარი იყო თამაზ თ., რომელიც სასჯელს თაღლითობისთვის იხდიდა და თაღლითობით, ჯამში, მილიონზე მეტი ჰქონდა ნაშოვნი. სასამართლომ შვიდი წელი მიუსაჯა და რუსთავის №17 დაწესებულებაშიც გაამწესა. სწორედ იქ დაიწყო თამაზისთვის პრობლემები. არადა, როცა გლდანის ციხიდან მიჰყავდა, სიხარულით ცეკვავდა, ფეხს გავშლი, ავადმყოფი გული მაქვს, სუფთა ჰაერს ჩავყლაპავო, მაგრამ რა იცოდა, გლდანიდან ოფიცრების მუშტს გაექცა, ზონაზე კი „კაიბიჭებისგან“ გვემა ელოდა.

პატიმარი №0578 რუსთავში ორი თვის მიყვანილი იყო, როცა თამაზმა მისი საკნის კარი შეაღო, ნარზე ჩამოჯდა, ყავა, სიგარეტი, ჩაი და „სგუშონი“ დადო და გაუღიმა. №0578 უცნობი პატიმრისგან ასეთ ძღვენს არ ელოდა და მიხვდა, რაღაცის სათხოვნელად იყო მოსული ეს ბუნჩულა კაცი. ამიტომ, ხმა არ ამოუღია, მიტანილ ძღვენს ხელი არ ახლო, მოსულს დააკვირდა და მოსასმენად მოემზადა.

„მე თამაზ თ. ვარ. აქვე, გვერდით კამერაში ვცხოვრობ, ახალი მოსული ხარ შენ და იმიტომ არ მიცნობ. ახალმოსულ კაცს ბევრი რამ სჭირდება და აგერ, მოგიტანე. რაღაც-რაღაცები თუ დაგჭირდეს, არ მოგერიდოს, გვერდით ვცხოვრობ“, — დაბნეულად დაიწყო თამაზმა.

№0578 ადგა, ნართან მდგარი კარადა გამოაღო და თამაზს უხმოდ ანიშნა, შეიხედეო. კარადაში რამდენიმე კოლოფი ყავა, ორი ბლოკი სიგარეტი, რამდენიმე კოლოფი ჩაი, „სგუშონი“ და შაქარიც კი იდო. თამაზი აშკარად დაიბნა, უხერხულად გაიღიმა, №0578-ს კი ხმა არ გაუღია, კარადა მიხურა, ისევ ნარზე ჩამოჯდა და თამაზს შეხედა.

„ჰო, არ ვიცოდი... უფრო სწორად, ვიცოდი, რომ არაფერი გიჭირდა, მაგრამ ეს ჩემგან, ძმაკაცურად... ჯიგრულად...“, — ხასიათი წაუხდა თამაზს.

„ხუთ წუთში ამდენი სისულელე არავის უთქვამს, რაც აქ ვარ. მარტივად არ შეგიძლია მითხრა, რა გინდა?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„შენ მაყურებლებთან კარგად ხარ. მითხრეს სხვებმა, წესიერი კაცია, უსამართლობას ვერ იტანსო და ეგებ, მეც მიშველო. აღარ შემიძლია, სისხლს მწოვენ, რა, მაყურებლები, ხან ეს უნდათ, ხან ის... სიგარეტსა და ყავაზე კი არ ვამბობ, ფულზე, ქეშზე. ხან ერთის დედაა ცუდად და ხან მეორის მამა და კუშებს მახევენ, რა. ჩუმად ვარ, მესმის მათი ადამიანურად და ვეხმარები, მაგრამ აღარ შემიძლია, აღარ მაქვს ფული, გესმის?!“ — ერთი ამოსუნთქვით თქვა თამაზმა.

„რაზე დაგიჭირეს?!“ — -ჰკითხა №0578-მა.

„თაღლითობაზე, მაგრამ აზერბაიჯანელები გადავყარე, ქართველები ხომ არა?! „აზერებს“ კიდევ მაყურებლები როგორ ეპყრობიან, ყველა ხედავს და მე რატომ ვისჯები „აზერების“ გაცურებისთვის, ვერ ვხვდები“, — თავი იმართლა თამაზმა.

„იდიოტი ხარ და იმიტომ ვერ ხვდები. ჩემს კამერაშიც არის „აზერი“, ვაჟკაცი ბიჭია და აბა, ვინმემ რამე გაუბედოს! ის „აზერები“ კიდევ, მაყურებლები რომ თურმე, ცუდად ეპყრობიან, „ბარიგობაზე“ არიან დაჭერილები, „ბარიგა“ კი ადამიანი არაა. ამიტომ, რასაც უკეთებენ, ათჯერ იმაზე მეტი უნდა უქნან. შენ კიდევ ვინ გადაყარე — „ბარიგები“ თუ წესიერი, მშრომელი ხალხი?!“ — ისევ ჰკითხა №0578-მა.

„მეცხვარეები“, — თავი ჩაღუნა თამაზმა.

„გამარჯობა, შენი. ესე იგი, წესიერი ხალხი მოგიტყუებია და იმიტომ ყავხარ კატის დღეში. ახლა კიდევ მოხვედი და ცდილობ, მომქრთამო, მაყურებლები შემეშვანო. შეგეშვან კი არა, ცოცხლად რომ არ გატყავებენ და მარილს არ გაყრიან, მადლობა თქვი. ზურა, მოდი აქ“, — №0578-მა უცებ თავის თანასაკნელს, კახელ ზურას გასძახა, რომელსაც ძალიან უჭირდა და სიგარეტს სამადლოდ ხან რომელი პატიმარი ყიდულობდა, ხან რომელი. ზურა მაშინვე №0578-ის ნართან გაჩნდა.

„აგერ, ბიძამ „გრევი“ მოგიტანა, უჭირს კაცსო და აიღე, მოიხმარე“, — ნარზე დაყრილ ნივთებზე მიუთითა №0578-მა. ზურამ სიხარულით მოკრიფა ყველაფერი, თამაზის თავისდაკვრით მადლობა გადაუხადა და თავის ნარისკენ გაქანდა.

თამაზმა თავი დახარა, მერე მძიმედ წამოდგა, კართან მივიდა, №0578-ს გამოხედა, თვალები უცნაურად აატრიალა და იქვე ჩაიკეცა.

„ექიმი, დროზე“, — იღრიალა №0578-მა და წაქცეულს ეცა, რომელსაც სახეზე მკვდრის ფერი ედო. საბედნიეროდ, ექიმი ზონის ტერიტორიაზე იყო, ორ წუთში მოვიდა და თამაზი ე.წ. ბალნიჩკაზე გააქანეს.

„ორი წელია, ვწველით მაგ კაცს და გულის შეტევა არ მიუღია, რა უთხარი ასეთი, ფეხები რომ აყარა“, — ჰკითხეს მაყურებლებმა №0578-ს.

„რა უნდა მეთქვა, გადაირიეთ? პირიქით, რაღაც ყავა და ჩაი მოიტანა და ზურას მივეცი, თქვენგან დაკრიშვა მთხოვა და უარი ვუთხარი და თქვენი შიშით უფრო გაუსკდა მგონი, გული მაგას. ძალიან „გრუზავთ“, ალბათ“, — უთხრა №0578-მა.

„კარგი, რა, მილიონზე მეტი აქვს ნაღებული და ორ წელიწადში სულ რაღაც 50 ათასი კი უნდა მაიტანოს“, — გაიცინეს მაყურებლებმა.

სამი დღის შემდეგ უცნაური რამ მოხდა: ზონა დახურული იყო, როცა №0578-ის საკნის კარი გაიღო და იმ ერთ ცარიელ ადგილზე, რომელიც საკანში იყო, ექიმებმა თამაზი შემოიყვანეს და დააწვინეს, რეჟიმის უფროსმა, ლევან პაჭკორიამ კი გამოაცხადა, დღეიდან ეს კაცი ამ კამერაში იქნებაო. №0578 არ განძრეულა, არც კი გაუხედავს თამაზისკენ, თუმცა რეჟიმის უფროსი მივიდა და სწორედ №0578-ს გაუმეორა დამარცვლით: „გაიგე, ეს კაცი დღეიდან ამ კამერაში იცხოვრებს!“

„მერე მე რა ვქნა? ჟურნალში აღრიცხვა გავაკეთო თუ ტაში დავუკრა?!“ — გაუღიმა №0578-მა.

„იცი შენ, რატომაც შემოვიდა აქ ეს, ისიც იცი, რომ თავსატეხია ეს კაცი შენი და აბა, შენ იცი“, — უთხრა პაჭკორიამ და კამერიდან გავიდა.

მეორე დღეს, როგორც მოსალოდნელი იყო, №0578-ს კამერაში მაყურებლები ავიდნენ. №0578 მოსულებს ღიმილით შეხვდა და უთხრა: „ახლა რა გინდათ, ჩემი საკამერნიკი უნდა „აკაჩაოთ“?!“

„ჩვენ არა, შენ უნდა „აკაჩაო“. „ჩორნას“ დედას ოპერაცია სჭირდება, ორი ათასია საჭირო სამ დღეში და თამაზმა უნდა გამოიღოს ეგ თანხა. ჰოდა, აუხსენი მშვიდად თაზოს, ჯობია, გადაიხადოს, თორემ მაგას ჩვენი გაბრაზება უნახავს და შენი არა. ჩვენ ვიცით შენი გაბრაზება და ვიხალისებთ, თუ გაგაბრაზა“, — ღიმილითვე უპასუხეს მაყურებლებმა.

№0578-მა თავი დაიქნია, გავიგეო და საღამოს თამაზის ნარზე ჩამოჯდა.

„ჩორნა“ ხომ იცი, დედა უკვდება. ორი ათასია საჭირო ზეგისთვის და შენი იმედი აქვთ. როცა ასეთი თემაა, უნდა შეიწუხო თავი და ვიღაცის „საგულაო“ ფულს მე არასოდეს გამოვართმევინებ შენთვის, გპირდები“, — მარტივად აუხსნა №0578-მა.

„სად მაქვს ფული? აღარ მაქვს, ვერ ვიშოვი, ვერ გადავიხდი“ — არეულად თქვა თამაზმა და თან გულზე წაივლო ხელი.

„როგორც ჩანს, გაუგებრად ვლაპარაკობ: კაცს დედა უკვდება, ზეგ ორი ათას ლარს მიიტანენ შენები არამიანცში, თორემ მაგ გულს ამოგიღებ, შეგიწვავ, შეგაჭმევ და ის ფული ოხრად დაგრჩება“, — ხმას აუწია №0578-მა და თან თამაზის ისეთი წაუთაქა თავში, ტყაპუნის ხმას გვერდით კამერებშიც გაიგებდნენ.

თამაზმა ორი ათასი გადაიხადა და როცა ერთი კვირის შემდეგ მაყურებლები სიგარეტის ფულზე დაადგნენ, №0578-მა შეუტია: „შეეშვით ახლა ამას, ამოასუნთქეთ, სიგარეტი „ბარიგებმა“ იყიდონ“.

თამაზს გაუხარდა, კმაყოფილი იყო, არავინ არაფერს სთხოვდა, №0578-იც კი არ ეუბნებოდა, სიგარეტი მიყიდეო, თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ, მაყურებლის დედა გარდაიცვალა. გასვენებისთვის ხუთი ათასი ლარი იყო საჭირო და №0578 ისევ თამაზის ნარზე ჩამოჯდა.

„ორი დღე მაცადე და ვიშოვი“, — შეპირდა თამაზი და... მეორე დღეს სხვა ზონაზე გადავიდა.

„გაიქცა ჩვენი ოქროს კვერცხის მდებელი დედალი“, — ჩუმად უთხრა მაყურებლებს №0578-მა.

***

№0578-მა თამაზი ორი დღის წინ შემთხვევით ნახა. თამაზს გულით გაუხარდა მისი დანახვა, გადაეხვია, მოიკითხა და...

„ეს „აზერი“ ვინ არის?!“ — თამაზის გვერდით მდგომ კაცზე მიანიშნა №0578-მა.

„პრობლემა აქვს რაღაც და კონსულტაციას ვუწევ“, — დაიმორცხვა თამაზმა.

„გასაგებია. არ ეშვები ისევ ძველ საქმეს და თუ ისევ დაგიჭერენ, გახსოვდეს, №0578 აღარ იქნება იქ, შეგჭამენ, შე უბედურო“, — უთხრა თამაზს და დაშორდა.

სომხეთში რევოლუციას ელოდებიან

მომიტინგეები დაშლას არ აპირებენ — წავა თუ არა მთავრობა კომპრომისზე

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

სომხეთის დედაქალაქში, ერევნის ცენტრალურ მოედანზე, კვირაზე მეტია საპროტესტო აქციები მიმდინარეობს — დემონსტრანტები ელექტროენერგიის გაზრდილი ტარიფის ძველ ნიშნულზე დაბრუნებას ითხოვენ, მაგრამ მთავრობა დათმობაზე წასვლას არ აპირებს, რის მიზეზადაც ზარალს, ეროვნული ვალუტის დევალვაციას, ცენტრალური ელექტროსადგურის შეფერხებას და მის მიერ არასათანადო ელექტროენერგიის გამომუშავებას ასახელებს. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 17 ივნისს, სომხეთის მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებით, ელექტროენერგიის ტარიფი თითქმის 16% გაიზარდა ანუ 6,93 სომხური დრამით (0,015 დოლარი) გაძვირდა და 48,78 დრამი შეადგინა. აღნიშნული გადაწყვეტილება 1 აგვისტოდან უნდა ამოქმედდეს, თუმცა მოსახლეობა ამის კატეგორიული წინააღმდეგია. აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ თუ მთავრობა მათ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს, საპროტესტო აქციებს არ შეწყვეტს.

მოვლენათა ქრონოლოგია

პირველი მასშტაბური აქცია ერევნის ცენტრალურ მოედანზე 19 ივნისს გაიმართა. თავდაპირველად, დემონსტრანტთა რაოდენობამ 5 ათასი შეადგინა, თუმცა მეორე და მესამე დღეს მათი რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. პოლიცია ამბობდა, რომ აქციაზე მისული ადამიანების რიცხვი 25 ათასამდე მერყეობდა, სტუდენტები კი აცხადებდნენ, რომ დემონსტრანტების რაოდენობა 60 ათასს აღემატებოდა. აღსანიშნავია, რომ აქციაზე მისული ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ახალგაზრდები იყვნენ, რომლებიც ფერადი დროშებით, ბანერებითა და სასტვენებით მხოლოდ ერთს — ელექტროენერგიის ტარიფის ძველ ნიშნულზე დაბრუნებას მოითხოვდნენ.

22 ივნისს, დემონსტრანტებმა ქვეყნის პრეზიდენტის, სერჟ სარქისიანის რეზიდენციასთან გადანაცვლება დააპირეს. დაძაბულობამ პიკს სწორედ ამ დროს მიაღწია. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ოვიკ აბრამიანმა განაცხადა, რომ დემონსტრანტების მიერ ქუჩის პარალიზება და მოძრაობის შეფერხება კონსტიტუციის უხეში დარღვევა იყო. პოლიციის თანამშრომლებმა მარშალ ბაგრამიანის გამზირზე კორდონი გააკეთეს და წყლის ჭავლის მანქანები ჩააყენეს. შსს-ს განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ იმ შემთხვევაში, თუ დემონსტრანტები იხმაურებდნენ, იმღერებდნენ და არ დაემორჩილებოდნენ სამართალდამცავების კანონიერ მოთხოვნებს, მსვლელობა აღარ ჩაითვლებოდა მშვიდობიანად და პოლიცია იძულებული გახდებოდა, დემონსტრაცია დაეშალა. მოგვიანებით ასეც მოხდა — აქციის მონაწილეები პოლიციამ წყლის ჭავლით დაშალა. 30-მდე ადამიანს სასწრაფო სამედიცინო დახმარება დასჭირდა, 240-მდე დემონსტრანტი კი პოლიციაში გადაიყვანეს, თუმცა მათი დიდი ნაწილი იმ დღესვე გაათავისუფლეს. დემონსტრანტებს შორის იყვნენ სტუდენტები და ჟურნალისტებიც.

ერთ-ერთ საინფორმაციო სააგენტოსთან საუბრისას, სომეხმა ჟურნალისტმა პაილაკ ფახრადიანმა განაცხადა, რომ აქციის დარბევისას პოლიციის თანამშრომელმა სასტიკად სცემა და არც მაშინ დაინდო, როდესაც შეიტყო, აქციას აშუქებდა. „მთელი სახე ჩალურჯებული მაქვს. სასტიკად მცემეს, მაშინაც არ დამინდეს, როდესაც ვუთხარი, რომ ჟურნალისტი ვიყავი და აქ ჩემს სამსახურეობრივ მოვალეობას ვასრულებდი. წარმოუდგენელი ამბები ხდება“, — განაცხადა ფახრადიანმა.

მთავრობის არგუმენტები

მას შემდეგ, რაც 22-23 ივნისს ერევანში არსებულმა მდგომარეობამ პიკს მიაღწია, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, ოვიკ აბრამიანმა სპეციალური განცხადება გააკეთა. მისი განმარტებით, ელექტროენერგიის ტარიფების შემცირება „ობიექტური მიზეზების“ გამოა შეუძლებელი: კერძოდ, ეროვნული ვალუტის დევალვაცია, რომელმაც ბოლოს 3 წლის განმავლობაში 20% მიაღწია, სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა; ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის ერთ-ერთი მიზეზი ცენტრალური ელექტროსადგურის 88-დღიანი შეფერხებაც იყო, რაც სარემონტო სამუშაოებითაა გამოწვეული. „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, აბრამიანმა განმარტა, იქიდან გამომდინარე, რომ საჭირო რაოდენობის ელექტროენერგიის გამომუშავება ვერ მოხერხდა, საჭირო გახდა დამატებით უფრო ძვირადღირებული ელექტროენერგიის შესყიდვა.

25 ივნისს, პრემიერმა უფრო ლოიალური განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ მზად იყო, გარკვეულ დათმობებზე წასულიყო. კერძოდ, „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, მან ორი ალტერნატივა წამოაყენა: მთავრობა დაეხმარებოდა სოციალურად დაუცველ 150 ათას ოჯახს, ან — 400 ათას ადამიანს. ამჯერად აბრამიანმა განაცხადა, რომ მთავრობას აუცილებლად უნდა შეემსუბუქებინა ხალხის მდგომარეობა. **„ერთი ოჯახისთვის დამატებითი სუბსიდია წლის განმავლობაში 24 ათასი დრამი იქნება (50.7 დოლარი), რაც ჯამში, მთელი სომხეთის მასშტაბით, 2.5 მილიარდ დრამს (5.3 მილიონ დოლარს) გაუტოლდება. სომხეთში მცხოვრები ოჯახი თვეში საშუალოდ 200 კილოვატ ელექტროენერგიას იყენებს. ახალი ტარიფიდან გამომდინარე, დამატებითი თანხა თვეში სამ დოლარს შეადგენს“,** — განაცხადა აბრამიანმა.

მოსახლეობის არგუმენტები

იმის გასარკვევად, თუ რა არგუმენტებს უპირისპირებს სომხეთის მოსახლეობა მთავრობის „ობიექტურ მიზეზებს“, რომლის გამოც ელექტროენერგიის ტარიფი გაიზარდა, „ვერსიამ“ სოციალური ქსელით ერთგვარი გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხულთა უმეტესმა ნაწილმა განაცხადა, რომ პრემიერის „ობიექტური მიზეზები“ სიმართლეს არ შეესაბამება და მთავარი მიზეზი ელექტროკომპანიისა და ზოგადად, მთელი მთავრობის არაკეთილსინდისიერი საქმიანობაა.

„ელექტროენერგიის კომპანიაში თაღლითები მუშაობენ, პრემიერმა, ამას წინათ, თქვა, ამ კომპანიაში ცუდი მენეჯერები მუშაობენ და ზარალი დროულად ვერ გათვალესო. ეს რას ნიშნავს? — იმას ხომ არა, რომ ყველა მათ შეცდომაზე პასუხი ჩვენ უნდა ვაგოთ?! ჩემი თვიური შემოსავალი 180 დოლარია. 40 ათას დრამს ვიხდი კომუნალურ გადასახადებში. საერთოდ არაფერი მრჩება. ფეხს არ მოვიცვლი აქედან, ვიდრე ახალ ტარიფს არ გააუქმებენ. ახალი ტარიფი 1 აგვისტოდან უნდა შევიდეს ძალაში. იმედი მაქვს, ყველაფერი წინ არის“, — განგვიცხადა ჰოვიკ ბაგდარიანმა.

„ახალი ტარიფი, ჯამში, ძველი ტარიფის 3 თუ 4 დოლარით გაძვირებას ნიშნავს. ეს თანხა არავის მოკლავს, იმის მიუხედავად, რომ კომუნალური გადასახადები ძალიან რთული გადასახდელია. მთავარი საკითხი სხვაა — ელექტროენერგიის გადასახადების ზრდის შემდეგ, გაიზრდება სხვა გადასახადებიც და ამან შესაძლოა, რევოლუციამდეც მიიყვანოს ხალხი. ძალიან მინდა, ერთი რამ დაწეროთ: ეს საპროტესტო აქცია პოლიტიზირებული არ არის. აქ არც პრორუსული მოძრაობებია და არც პროდასავლური. ჩვენ ვაპროტესტებთ იმას, რაც გვაწუხებს. არც ერთი პოლიტიკური პარტია აქ არაა“, — განაცხადა მარინა ბოგდასაროვამ.

„ამ მდგომარეობას ერთი სიტყვით აღვწერდი — კატასტროფა. წარმოიდგინეთ, როგორ უჭირს დღეს სომხეთის მოსახლეობას, რომ ტარიფის რამდენიმე დრამით გაძვირებას აპროტესტებს. მთავრობის შეთავაზებული სუბსიდიები ჩვენს მდგომარეობას ვერ შეამსუბუქებს. აქ ისეთი მდგომარეობაა, უარესი არ შეიძლება, აქციაზე არ წავსულვარ, მაგრამ სრულებით ვუერთდები აქციის მონაწილეებს“, — უთხრა „ვერსიას“ ჯულიეტა ასპერიანმა.

„ვერსიის“ მიერ გამოკითხული ადამიანების უმეტესობა აცხადებს, რომ დანებებას არ აპირებს, იქამდე გავაპროტესტებთ, ვიდრე სასურველ შედეგს არ მივიღებთო, თუმცა, თუ უცხოურ საინფორმაციო საშუალებებს ვენდობით, მათ შორის, „ბი-ბი-სის“, ნათელია, რომ მთავრობა რეალურ კომპრომისზე წასვლას არ გეგმავს; მეტიც — 26 ივნისს, ქვეყნის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა, ერვანდ ზახარიანმა განაცხადა, რომ სამწუხაროდ, ის მექანიზმი, რომელიც ხელს შეუშლიდა ტარიფის ზრდას, ამ ეტაპზე არ არსებობს.

1. ესპანეთის საპორტო ქალაქი
2. ზურგის ტვინის სითხე
3. მეჩვრმ-ეტყველების მუზა
4. მოს-ევადების ტექნიკის ნაირსახეობა
5. ჯვომო-ლუნგმას მეორე სახელი
6. სამე-ჯლისო ცეკვა
7. სპორტ. თამაში ოვალური ბურთით
8. ერთგვარი თამაში
9. პატარა ქირურგი-ული დანა
10. მიტაცებ. ტერიტო-რიების უკან დაბრუნება
11. მდინარე რუსეთში
12.სივრცეში მოძრავი სხეულის გზა
13.აზრის არაპირდაპირი ხერხებით გამოხატვა
14. კვერცხის თეთრი გარსი
15. სცენაზე ჩასაძრომი ჭრილი
16. კანონის გაუქმება
17. (ძვ.) საყვირის მსგავსი საკრავი
18. შვიდის მომდევნო რიცხვი
19. ხვეის-ბერი გოჩას ვაჟი
20. ცისფერი ნილოსის ეთიოპიაში
21. გვარის, ტომის მა-მამთავარი
22. პოლ-იციელის მეტსახელი ინგლისში
23. ვიო-ლონოების იტალიელი ოსტატი
24. მიმ-დინარეობა თანამედროვე მუსიკაში
25. სამცხის მმართ-ველთა ტიტული
26. სოფელი სენაკის რაიონში
27. ვარსკვლავიერი მანძილების საზომი ერთეული
28. უმცროესი ორნიშნა რიცხვი
29. „ტოიოტას“ მოდელი
30. ქართველი მოქანდაკე ქალი
31.. კათო-ლიკური მესა „...., მარია!“
32. თავის კანი თმები-ანად
33. ნაპოლეონის მშობლიური კუნძული
34. რძის შაქარი
35. ბუშბულით გატ. თავქვეშ სადები
36. დილის ჰანგი აღმოსაგ-ლეთში
37. ჩამოსა-კიდებელი საწოლი
38. პურის საცხობი
39.შეძახილი კონცერტზე ნომრის გასამეორებ.
40. „ულელ-ტეხილი კავკასიონის მთავარ ქედზე
41. მოწონებ. გამომხატ. შორისდე-ბული
42. პოზა იოგაში
43. იაპონური საათების ფირმა
44. ძვ. ფრანგული სიგრძის საზომი
45. დიდი ციმბირული ირემი
46. ბანქოს ერთგვარი თამაში
47. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
48. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
49. სიბრძნის ღრთაება შუმერულ მითოლოგ.
50. დასტურის შემცველი აშშ-ში
51. ნახევრად ძვირფასი ქვა
52. ქალაქი რაჭაში
53. აქლემის „ატრიბუ-ტი“
54. გერდას მეგობარი ბიჭუნა
55. ინგლისელი გიტარისტი კრის ...
56.ზიტას და ინდურ ფილმში
57. ყველაზე მსხვილი სისხლ-ძარღვი
58.პოპუ-ლარული ქოქოსის ლიქიორი
59. გათენება, გარიჟრაჟი
60. სახელდახე-ლოდ თქმული სახუმარო შინაარსის ლექსი
61. მათემა-ტიკური მუდმივა

ავსტრალიაში „ბოთლის წყალი“ აკრძალეს

ავსტრალიის პატარა ქალაქ ბუნდანუნის მაცხოვრებლებმა, ეკოლოგიური მოსაზრებების გამო, მხარი დაუჭირეს სასმელი წყლის ბოთლებში ჩამოსხმის აკრძალვას. ეს პატარა დასახლება, სადაც მხოლოდ 2,5 ათასი ადამიანი ცხოვრობს, პირველი ქალაქია პლანეტზე, სადაც მსგავსი აკრძალვა შემოიღეს. ახალი კანონის მომხრეები მიიჩნევენ, რომ წყლის მოპოვება, ჩამოსხმა და ტრანსპორტირება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გარემოს. გარდა ამისა, გამოყენებული ბოთლების უმრავლესობაც ნაგავში ხვდება და გარემოს დაბინძურების კიდევ ერთი მიზეზია. კენჭისყრისას ახალი კანონის წინააღმდეგ მხოლოდ ერთი ადამიანი გამოვიდა. აკრძალვის მომხრეები აღმოჩნდნენ ადგილობრივი მაღაზიების მფლობელებიც, თუმცა, ბუნდანუნის მაცხოვრებლები პირობას დებენ, რომ ქალაქის სტუმრებს ახალი კანონის აბსოლუტურ დაცვას არ მოსთხოვენ, წყლის მარაგისთვის კი უკვე გამოყენებული ბოთლების ხმარება მოუწევთ, რომელთა შევსება მთავარ მოედანზე არსებული შადრევნიდან შეეძლებათ.

კიბოს დიაგნოსტიკა 3 წუთში

საამისოდ მხოლოდ ერთი წვეთი სისხლია საჭირო! იაპონელმა მეცნიერებმა ადრეულ სტადიაზე სიმსივნის დიაგნოსტიკის ახალი მეთოდი შეიმუშავეს, რომელიც საშუალებას იძლევა, გაირკვეს, არის თუ არა ორგანიზმში ავთვისებიანი კიბოს უჯრედები. პასუხი კი სამ წუთშია მზად. ახალ მეთოდზე მუშაობა სპეციალისტებმა ამომავალი მზის ქვეყნიდან 2013 წელს დაიწყეს კომპანია MYTEC-თან ერთად, რომელიც სპეციალიზებულია სამედიცინო ანალიზების მაღალი სიზუსტით გამოკვლევაზე. სპეციალურ მეტალის ფირფიტაზე თავსდება პაციენტის სისხლი და მასზე ულტრაიისფერი სხივებით ზემოქმედებენ. იმ უნიკალური მასალის წყალობით, რომლითაც ფირფიტაა დამზადებული, კიბოთი დაავადებული სისხლის უჯრედები ანათებს დნმ-ის მოლეკულის ერთ-ერთ შემადგენელში — ნუკლეოსომებში ცვლილებების გამო. ჯანმრთელი ადამიანის სისხლში კი, ასეთივე ზემოქმედებისას, მსგავსი რამ არ ფიქსირდება. ექსპერიმენტში ჯერჯერობით 20 ადამიანი მონაწილეობდა — ყველა შემთხვევაში ანალიზმა სწორი შედეგი აჩვენა. სწავლულების თქმით, ახალი მეთოდი ძალიან მარტივია და მისი გამოყენება შეიძლება ისეთი დაავადებისას, როგორიცაა კუჭის, ფილტვებისა და კუჭქვეშა ჯირკვლის კიბო. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ერთი წლის შემდეგ იაპონელი სპეციალისტები პირველ სრულფასოვან კლინიკურ ცდებს ჩაატარებენ ახალი მეთოდის გამოყენებით.

მგზავრებს მეტროში ძილს სთავაზობენ

ნიუ-იორკის მეტროში მგზავრებს პიჟამასა და ბალიშებს ურიგებენ და ვაგონში წაძინებას სთავაზობენ, სადაც სკამებს შორის საწოლებია ჩადგმული. სპეციალური გამცილებელი მზად არის, ნებისმიერ მსურველს მგზავრობისას ცოტა ხნით თვალის მოტყუების საშუალება მისცეს. პიჟამას ჩაცმის მსურველი ჯერ არ გამოჩენილა, აი, წაძინება კი ბევრმა მოისურვა და ბალიშებიც მოითხოვეს. ამ უჩვეულო ჩანაფიქრის ავტორებს სურდათ, დაღლილ თანაქალაქელებს არა მხოლოდ დასვენებაში დახმარებოდნენ, არამედ მათი ღიმილიც დაემსახურებინათ. ღიმილი კი, როგორც ცნობილია, საუკეთესო წამალია სტრესის დროს. სხვათა შორის, იდეის ავტორების „შემოქმედებაა“ ასევე მგზავრების გასამხიარულებელი, უკვე სახელგანთქმული აქცია „ერთი დღე მეტროში უშარვლოდ“. აქტივისტები წელინადში ერთხელ მიწისქვეშა ტრანსპორტში კაბის ან შარვლის გარეშე, სასაცილო საცვლებით ჩადიან.

სუდოკუ

ადვილი

				6		2		5
6	7		3			9		1
								6
	5		1	4	9		6	
	4		7	5	3		2	
1								
7		3			4		5	2
5		2		9				

სტანდარტი

						1		
5			8		9		2	6
	1		7	6				3
1			2		8			
		6				5		
			6		4			8
9				4	3		8	
8	3		5		7			9
		4						

რთული

4	7						9	8
	3				2	7		
5					7			
	2			4			7	
			3		8			
	8			1			3	
			9					7
		9	6				1	
6	4						5	3

ექსპერტი

		6		4	3	9		
	7	3						
8						3		2
		1	8	7	6			
			5	2	9	8		
9		8						3
						6	7	
		7	2	9		5		

უკიდურესი შეჯიბრებები

ჩვენს პლანეტაზე ბევრი უცნაური შეჯიბრი იმართება, რომელტაგან ზოგი ასწლეულების წინათ დაფუძნდა, ზოგიც უკვე ჩვენს თანამედროვეობაში და არა მხოლოდ მაყურებლის გართობაზეა გათვლილი, არამედ უფრო ტურისტების მისაზიდად ტარდება პატარა ქალაქებში. მათი პოპულარობა სულ უფრო იზრდება და მონაწილეობას არა მხოლოდ ადგილობრივები, არამედ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც იღებენ. ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრი ფინეთში ტარდება — ჩემპიონატი ცოლების ტარებაში. აქ ქალის ხელში აყვანილი ტარება არა მხოლოდ მათ მიმართ სიყვარულის გამოხატულებაა, არამედ ფულის შოვნის საშუალებაც. „სპორტსმენებისთვის“ საკმოდ რთული, 250-მეტრიანი ტრასაა მომზადებული წინაღობებით. ამ გამოცდის გავლა, თან როცა ხელში საკუტარი ცოლი გიჭირავთ, წარმოუდგენელია, ამიტომ ქმრები მათ კისერზე ისვამენ. ის მონაწილეების ლამაზმანებს, რომლებიც 49 კილოგრამზე ნაკლებს იწონიან, ზურგჩანთებით ამძიმებენ. შეჯიბრში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია, რომელიც ქალაქის საიტზე განაცხადს შეავსებს. ბოლო დროს ასეთი შეჯიბრი ტარდება დანიაში, ბალტიისპირეთში და სამხრეთ კორეაშიც.

შეჯიბრი კოღოების დახოცვაში — ამ სისხლისმწოველი მწერების განადგურების კონკურსი ყოველწლიურად ტარდება იტალიაში, პატარა დასახლება სან-ნაზარო-სეზიაში. მონაწილეებს ერთნაირ ბუზების სახოცებს ურიგებენ, რომელსაც შეჯიბრის მსაჯი აირჩევს. ამ უჩვეულო პაექრობისთვის კონკურსანტებს სულ 10 წუთი ეძლევათ. მთავარაია, მათ დახოცილი მწერები შეინახონ, რადგან მათიბ რაოდენობით გამოვლინდება გამარჯვებული. პირველ სამ ადგილზე გასული მონაწილეები, ყოველ მკვდარ კოღოზე 10 ევროს იღებენ. იტალიელებს არც ფინელები ჩამორცენიან ამ საქმეში, მხოლოდ მათთან შეჯიბრის მონაწილეები კოღოებს საკუტარ ზურგზე ხოცავენ.

ყველაზე ხმამაღლა ყვირილის კონკურსები ტარდება იაპონიასა და პოლონეთში. ამომავლი მზის ქვეყანაში თუ ერთხელ მაინც მოხვდით ამ შეჯიბრზე, რარასოდეს დაიჯერებთ მითს წყნარი და თავშკავებული იაპონელების ტაობაზე. მონაწილეებს 100 დეციბელზე მეტი ხმით უწევთ ყვირილი — ეს უფრო მეტი ხმაურია, ვიდრე სრული ვლით მიმვალი მატარებელი გამოსცემს. დასაყვირი ფრაზა შეჯიბრის მონაწილემ თავად უნდა მოიფიქროს. სხვატა შორის, ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ასეთი განტვირთვა, კვირობით ოფისებში გამოკეტილი იაპონელებისთვის ნამდვილად საჭირო.

ინგლისელ ფინანსისტებს ბანკებზე ბოლო ორ-სამ ოფიციალურ ინფორმაცია

1.დედამიწის პოლუსების შემაერთებელი წრესაზი
2. შორენა კოლონკელიძის შველი
3. გეოგრაფიულად ერთგვაროვანი სივრცე
4. ვინმეზე ჩამოყალიბებული აზრი, რეპუტაცია
5. მედუდუკეთა ანსამბლი
6.ადამიანის უნარი უთანაგრძნოს სხვებს
7.ცნობილი იაპონელი დიზაინერი
8. უკრაინის პარლამენტი
9. უმაღლესი სპოროვანი მცენარე
10. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი
11. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
12. კოსმეტიკური ტუნისაცხი
13. მოქალაქეობის უფლების ჩამორთმევა ძვ. საბერძ.
14.ივდითის სატრფო ურიელ ...
15. ქაჯანას და
16. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
17.ფორმულა 1-ის ფინელი ავტომრბოლელი
18. „ურწმუნო“ მოციქული
19. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
20. პეტრარკას სატრფო
21ანტიკური ლექსი მწყემსების ცხოვრებაზე
22. ქვეყანა წყნარი ოკეანის სამხრეთში
23.ბურთის გასვლა სათამაშო მოედნიდან
24. ისტ. მხარე სამხრეთ საქართველოში
25. კლდიაშვილისეული ქამუშაძის სახელი
26. ფაკულ. ხელმძღვანელი უმაღლეს სასწავლებელში
27.ჩოგბურთის ყველაზე პრესტიჟული ტურნირი
28. ფრანგული ავტომარკა
29.იაპონელი მწერალი ... აკუტაგავა
30. ჩვენი პლანეტა
31. სითბოს რაოდენობის ერთეული
32. საფრანგეთის უგრძესი მდინარე
33. ქიმიური ელემენტი, მეტალი
34. გალაკტიონის გემი
35. ივივეა, რაც მინანქარი
36. სისხლნაკლებობა
37. ღვთისმშობლის დედის სახელი
38. სარკმლებიანი ოთხთვალა ეტლი
39. ყელის მწვავე დაავადება
40. ინდური კობრა
41. ქალაქი გერმანიაში
42. დიდი ნორვეგიელი დრამატურგი ჰენრიკ ...
43. დიდი მუწუკი
44. ქართული ხალხური ზღაპარი
45. მიმართვა გერმანელი ქალბატონისადმი
46. ინდოელი ოსკაროსანი კინორეჟისორი
47. მე-19 ს-ის ამერიკელი მოჭადრაკე
48. „ხელშეკრულებით“ ცნობილი ქალაქი თურქეთში
49.ეგრაელთა რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში
50. საოპერო პარტია
51. ორმოცდაათი ძველ ქართულში
52. დამუხტული ატომი
53. ტროპიკული ხილი
54. ბალახის ჩრდილი
55. ღვინის სასმელი რქა
56. (ბუღალტ.) სხვაობა შემოსავლისა და გასავლის ჯამებს შორის
57.მრავალთავიანი წყლის გველი ბერძ. მით.
58.ქართული ცეკვა
59. ჯ. ლონდონის „... იდენი“
60. ხმელთაშუა ზღვის ნაწილი
61. „გმირთა ვარამის“ ავტორი
62. ველური კოშში
63. ქალაქი ფლორიდის შტატში
64. ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქი
65.ძვ. ფრ. ხურდა ფული
66.დაბ. და გამხ. ტანის კაცი
67. თონეში ჩავარდნილი პური
68. კორეული ავტომარკა
69. სამხედრო ხროვა
70. ერთნახადი, სუსტი არაყი
71. გამოკლების ნიშანი
72. მოდელიორი ...-სენ ლორანი
73. ტაილანდის ძველი სახელწოდება
74. პატარა ელექტროორღანი
75. ფრთოსანი რაში ბერძ. მით.
76.ბეისბოლის მსგავსი თამაში რუმინეთში
77. საჭმელი სოკოს სახეობა
78. ვულკანი კუნძულ სიცილიაზე
79. ქაღალდის ფიგურები იაპონიაში
80. დაკოდილი ცხენი
81. ... ისაკიჩ მეჯ-ღანუაშვილი
82. სპილენძისაგან ჩამოსხმული რომაული მონეტა
83. დიდი არწივი

ბავშვები ექსკურსიაზე მდიდრულ ვილებზე მიჰყავთ

ჩინური მედიასაშუალებები იტყობინებიან, რომ ბოლო დროს ქვეყანაში მკეთრად გაიზარდა იმ მშობლების რაოდენობა, რომელთაც შვილები სპეციალურ ტურებში მდიდრული ვილების სანახავად მიჰყავთ, რათა მათ მდიდარ და წარმატებულ პიროვნებებად ჩამოყალიბების სურვილი და სტიმული გაუჩინონ. ჩვეულებრივ, დასვენების დღეებში მშობლებს ბავშვები სათამაშო მოედანზე, კინოში, მუზეუმში ან პიკნიკზე დაჰყავთ, მაგრამ ჩინეთში ზოგი ოჯახი თავისუფალ დროს სწორედ ამ საქმისთვის იყენებს, რათა პატარებს სწავლისკენ უბიძგონ, რათა მომავალში ფუფუნებაში იცხოვრონ. ქვეყანაში არის სპეციალური კომპანიები, რომლებიც დედ-მამას ეხმარება და მათ კოლოსალურ თანხად შეფასებული ვილების მონახულებას სთავაზობენ. ასეთი ფირმების რიცხვიც იზრდება, რადგან მსგავსი „ექსკურსიები“ ჩინეთში სულ უფრო პოპულარული ხდება — ყოველ შაბათ-კვირას თითოეულო მათგანი 50-100 ოჯახს მაინც ემსახურება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.